



ახალი განათლება

05-18.04.2018

№12 (806) გამომდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ვირთუვით აქრავთმის ზმნ'ყინვაროე რიქსსსნ'სყროს



პროფესიული უნარების გამოსდისთვის მოსამზადებლად

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLİ SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები კასუხებით

ყარსიერ ხარეგერ ყათაასიხანნერიყ

გვერდი 6



უმაღლესი განათლება

ევროკულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის

გვერდი 3

ტესტების არაბული მასშტაბებისთვის პროფესიულ უნარებში

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

წიგნი მოიცავს ტესტების უსრულების ინსტრუქციას, ტესტებს კასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საბამო დოკუმენტაციას.

ფასი - 15 ლარი

პროფესიული
უნარები

ტესტები



2018-2019 წლისთვის

პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვრა

პირველი ვადა: 2018 წელი, 10 აპრილი - 27 აპრილის ჩათვლით;

მეორე ვადა: საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია, 2018 წელი, 8 მაისი - 8 ივნისის ჩათვლით;

მესამე ვადა: 2018 წელი, 2 ივლისი - 16 ივლისის ჩათვლით.

წიგნის თარიღი

სიხსლა

„თავისუფალ გაკვეთილებს“ „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამა“ ჩაანაცვლებს

ლალი ჯელაძე

„თავისუფალი გაკვეთილები“ „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით“ შეიცვლება და სამი მიმართულებით – სპორტი, ხელოვნება-კულტურა და ინტელექტუალურ-შემეცნებითი – განხორციელდება. შარშან თავისუფალი გაკვეთილების ცალკე მიმართულებად იყო „ნიგნიერება“, რომელიც წელს ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებაში გაერთიანდება.

სახელწოდების შეცვლასთან ერთად, შეიცვალა პროექტის დაფინანსების ოდენობაც და განისაზღვრა სკოლების რაოდენობაც. წინა პროექტისგან განსხვავებით, რომელიც პროგრამაში მხოლოდ VII-VIII კლასების ჩართვას ითვალისწინებდა, წელს მონაწილეობის უფლება IX კლასის მოსწავლეებსაც მიეცემა. „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამას“ გამარტივებული დაფინანსების წესი შეეხება, რაც გულისხმობს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, შერჩეული სკოლებისთვის ამ მიმართულებებში წინასწარ მომზადებული ჩარჩო-პროექტების შეთავაზებას. სკოლებს წინასწარ შეარჩევს კომისია და დაფინანსდება მხოლოდ ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც VII-VIII-IX კლასებში, ჯამურად, 20-დან 50 მოსწავლემდე უყავთ. „ასეთი შერჩევის პრინციპი იმით გამოიყენება, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, გაცილებით ნაკლები თანხა გათვალისწინებული – გვითხრა „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამის“ კოორდინატორმა, ქეთევან კურცხალიამ, – ამ ჩამონათვალში, ძირითადად, რაიონის სკოლები ხედებიან, რადგან ქალაქის სკოლები ამ კრიტერიუმით ვერ შეირჩევა. ასეთი სულ 650 საჯარო სკოლაა, აქედან გამომდინარე, ამდენივე დაფინანსდება. რეალურად, 650 სკოლას მიეცემა პროექტში ჩართვის შესაძლებლობა, თუმცა, რასაკვირველია, გადაწყვეტილების მიღება მათზე დამოკიდებულია.“

ჩარჩო-პროექტების ხანგრძლივობა 20 საათია და სკოლამ მისი განხორციელების გრაფიკი ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს, საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ცნობილია მხოლოდ პროექტის დაწყებისა და დასრულების ვადები, „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამა“ წლის ბოლოს დასრულდება. გასულ წელს, როცა ყოფილმა მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ „თავისუფალი გაკვეთილების“ შესახებ განაცხადა, მოდელი ასე გამოიყურებოდა: თავისუფალი გაკვეთილებიდან თითო ჩატარებულ საათზე სკოლას 30 ლარი ერიცხებოდა, აქედან 10 ლარი – მასწავ-

ლებელს, 10 – სკოლის ადმინისტრაციას, ხოლო 10 ლარი გაკვეთილისთვის საჭირო რესურსისთვის იყო გათვალისწინებული. ჯამში, სკოლაზე გათვლილი იყო 3000-ლარიანი გრანტი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სკოლა, დამატებით, 100 საათის ჩატარებას უზრუნველყოფდა, თავისუფალი გაკვეთილების სახით, სხვადასხვა მიმართულებაში.

წელს უცვლელი დარჩა 1 საათის ჩატარებისთვის განკუთვნილი 10 ლარი, მაგრამ გრანტის საფასური შემცირდა, რადგან პროექტის ფარგლებში, ერთ მასწავლებელს მხოლოდ 20 საათის ჩატარება შეუძლია, აქედან გამომდინარე, სკოლისთვის განკუთვნილი პროექტის საფასურიც 600 ლარია და არა 3000, აქედან 200 ლარი მასწავლებლის ხელფასია, 200 ლარი – ადმინისტრაციის, 200 ლარი – რესურსისთვისაა განკუთვნილი.

„თავისთავად სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამა კლასგარეშე ექსტრაკურსულარული აქტივობებია და, აქედან გამომდინარე, ანაზღაურებაც დამატებითი შემოსავალია სკოლისთვის და მასწავლებლისთვის.“ – ამბობს ქეთევან კურცხალია.

როგორ განხორციელდა „თავისუფალი გაკვეთილების“ პროგრამა და რამ განაპირობა მისი „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით“ ჩანაცვლება, ამ შეკითხვაზე პროგრამის კოორდინატორმა გვიპასუხა, რომ „თავისუფალი გაკვეთილების“ პროექტები საკმაოდ კარგად წარმოართა სკოლებში, მაგრამ რატომ ჩანაცვლა ახალმა პროგრამამ, ამის შესახებ ვერაფერს გვეტყვის, რადგანაც ის პროექტის განმარტაციელზელია და არა პოლიტიკის განმსაზღვრელი.

„რაც შეეხება „თავისუფალ გაკვეთილებს“, დაახლოებით, 1160-მდე სკოლაში სხვადასხვა ხანგრძლივობის პროექტები განხორციელდა. მაშინაც და ახლაც, ერთ საათზე განკუთვნილია ათი ლარი, უბრალოდ, საათების რაოდენობა გასულ წელს, ზოგიერთ მიმართულებაში, მეტი იყო, მაგალითად, სპორტს დათმობილი ჰქონდა 40 საათი, შესაბამისად, მასწავლებელიც და სკოლაც მეტ ანაზღაურებას იღებდა. – ამბობს ქეთევან კურცხალია. – საერთო ჯამში, „თავისუფალ გაკვეთილებში“ ჩართული იყო 1160-მდე სკოლა, 40 ათასზე მეტი მოსწავლე და 2700-მდე მასწავლებელი. რამ განაპირობა ცვლილება, ამაზე პასუხს ვერ გავცემთ, მაგრამ შემოიღო ვითხრათ, რომ პროექტი საკმაოდ წარმატებულად განხორციელდა. ამას ის გამოიქვამდა მონაწილეობის, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგ ჩავატარეთ. სულ 1487 მასწავლებელი გამოიქვამა, კონკრეტულად ის პედაგოგ-

სტუდენტური კვლევა

საქართველოს პირველი რესპუბლიკა – 100

წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნიდან 100 წელი შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ეროვნულ არქივში უამრავი პროექტია დაგეგმილი. არქივში დაცულია ყველაზე მეტი მასალა ამ პერიოდის საქართველოს შესახებ და ბუნებრივია იმ ღონისძიებების მრავალფეროვნებაც, რომელიც წელსა დაგეგმილია და ის საქმიანობაც, რომელსაც არქივი წლების განმავლობაში ახორციელებს პირველი რესპუბლიკის კვლევისა და პოპულარიზაციისთვის. მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს: სამეცნიერო, პოპულარული, კვლევითი და სხვ. კვლევითი მიმართულებით, წლის განმავლობაში, რამდენიმე ნაშრომის გამოცემა იგეგმება, მათ შორის – 1918-21 წლების საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორია და ქუთაისის მოლაპარაკებების სტენოგრამა, რომელიც 1921 წლის ომის დროს მიმდინარეობდა.

რაც შეეხება პოპულარული ხასიათის გამოცემებს, ეროვნული არქივი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთობლივად, ამზადებენ პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეების – ნოე რამიშვილისა და ნოე ჟორდანიას ალბომის გამოცემას, რომელშიც შევა მათი საუკეთესო ფოტოები როგორც პოლიტიკური ხასიათის, ასევე ოჯახური, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებთანაც მათ ჰქონდათ შეხება.

კვლევით პროექტებს შორის აღსანიშნავია სტუდენტური პროექტი „საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის კვლევა“, რომლის მიზანი იყო 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი საკითხების კვლევა, გააზრება და დასკვნების გამოტანა. მნიშვნელოვანია, ასევე, იმ

სტუდენტთა ნახალისება, რომლებსაც სურვილი აქვთ მომავალში სამეცნიერო კვლევის სფეროდ აქციონ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორია. ეროვნული არქივისთვის პრიორიტეტულია ახალგაზრდების ხელშეწყობა მკვლევარი-სათვის საჭირო უნარების გამოუმუშავებაში, რაც მომავალში მათ საარქივო პირველწყაროზე მუშაობასა და მოკვლეული მასალის საკუთარ ნაშრომებში გამოყენებაში დაეხმარება.

პროექტში სამი სტუდენტი მონაწილეობდა: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტი ნიკოლოზ სეფიაშვილი (თემა: საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და ფულადი ინსტრუმენტების ემისია); თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტი გიორგი ჯავახიშვილი (თემა: საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საკითხი სამხედრო საბჭოს ხდომის ოქმების მიხედვით); თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი კონსტანტინე გოგიბერიძე (თემა: საქართველოს პირველი რესპუბლიკის განათლების რეფორმა). ორი თვის განმავლობაში, ისინი საარქივო მასალის ელექტრონულ ასლებსა და ორიგინალებზე მუშაობდნენ.

„კონკურსის შედეგად შერჩეულმა სტუდენტებმა, ორი თვის განმავლობაში, ეროვნული არქივის ფონდებში იმუშავეს. არჩევანში თავისუფალი იყვნენ, თუმცა თემატიკა უნდა ყოფილიყო 1918-21 წლების საქართველოს ირგვლივ. ფონდებზე მუშაობის შედეგად, ინდივიდუალურად, სამივემ მცირე ზომის საკმაოდ

საინტერესო სამეცნიერო ნაშრომები დაწერა. ისინი ელექტრონული სახით განთავსდება.“ – ამბობს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების თანამშრომელი დიმიტრი სილაქაძე.

ნიკოლოზ სეფიაშვილმა, გიორგი ჯავახიშვილმა და კონსტანტინე გოგიბერიძემ კვლევის შედეგები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგანგებო განყოფილებაში გამართულ პრეზენტაციაზე წარმოადგინეს.

„ამ პროექტის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მოგვცა, დაგვემუშავეთ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები, გაგვეანალიზებინა და შემდგომო კვლევისთვის გამოგვეყენებინა. ჩემი კვლევის თემატიკა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეკონომიკა და ფინანსებია, კონკრეტულად პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისიის საკითხი 1914-21 წლებში. მაღლობელი ვარ, რომ საქართველოს ეროვნულმა არქივმა განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ეროვნულ არქივში მუშაობის სპეციფიკა. გაგვეანალიზებინა“ – განაცხადა ნიკოლოზ სეფიაშვილმა.

დიმიტრი სილაქაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის კვლევა არქივის გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია. პირველი რესპუბლიკის უამრავი საკითხი ჯერაც შეუწავლელი რესურსია და მათზე მუშაობა დიდ გამოცდილებას შესძენს ახალგაზრდებს. ამ პროექტის უზიარებლობა ისიც არის, რომ ბაკალავრიატის სტუდენტები, მუშაობენ რა არქივში დაცულ დოკუმენტებზე და პირველ ნაშრომებს წერენ, მომავალში სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელებისთვის აუცილებელ კვლევით უნარ-ჩვევებს გამოიმუშავენ, თან საკმაოდ მაღალ დონეზე.

ქართული სახელმწიფოებრიობის 100 წლისთავის საიუბილეო წელთან დაკავშირებით ეროვნულ არქივში უამრავი პროექტია დაგეგმილი. „არქივი, მთელი წლის განმავლობაში, იმუშავებს პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ გამოფენებზე. თავად არქივში მომზადდება დიდი გამოფენა, ასევე, ექსპოზიციები სხვადასხვა სამინისტროებთან ერთად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთელი წლის განმავლობაში, საქართველოს ყველა იუსტიციის სახლში, ორ-ორი კვირის განმავლობაში, გამოიფინება პირველი რესპუბლიკის თემატიკური ექსპოზიცია. ეს იმ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, რომ იუსტიციის სახლები ყველაზე ხალხმრავალი დაწესებულებებია, სადაც ყოველდღიურად უამრავი ადამიანი მიდის მომსახურების მისაღებად და ეს გამოფენები ბუნებრივად მიიქცევა მათ ყურადღებას.“ – ამბობს დიმიტრი სილაქაძე.

ლონისძიება, რომელიც ახალგაზრდა მკვლევრების ხელშეწყობას ითვალისწინებს, საქართველოს ეროვნულ არქივში წელს პირველად ჩატარდა.



კვლევა სკოლაში ბავშვების უსაფრთხოების შესახებ

2017 წლის პირველ დეკემბერს, თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარმა ტრაგიკულმა ინციდენტმა, რომელსაც ორი მოზარდის ცხოვრება შეეწირა, კიდევ ერთხელ შეძრა ჩვენი საზოგადოება და დაგვაფიქრა სკოლაში ჩვენი შეილება უსაფრთხოების საკითხებზე. როგორც ყოველთვის, მომხდარს გარკვეული ზომები მოჰყვა, რის შემდეგ საზოგადოება დაწყდა – მორიგ ტრაგიკულ შემთხვევამდე.

ბავშვების უსაფრთხოება სკოლაში ქვეყნის პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იყოს, რადგან ბავშვები ჩვენი მომავალია. აშშ-ში, სადაც მსგავსი ზომების სისტემა არსებობს, ბავშვების უსაფრთხოება სკოლაში მაინც არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი. ჩვენ კი რატომღაც იმედი გვაქვს, რომ ამ პრობლემას პერიოდული, ერთჯერადი ზომებით გადავჭრიტ. დეტალიზებული სტატისტიკაც კი არ არის ხელმისაწვდომი (თითქოს მონაცემების არარსებობა პრობლემის არარსებობის ტოლფასი იყოს). ჯეოსტატის მონაცემებით, დანაშაულის მსხვერპლის რიცხოვნებამ არასრულწლოვნებში, 2011 წლიდან 2016 წლამდე, 191-დან 657-მდე იმატა. პრობლემა აშკარად სახეზეა და ინფორმაცია იმის შესახებ, ამ შემთხვე-

ვათა შორის რამდენია მკვლელობა და რამდენი – სხვა სახის დანაშაული, სად მოხდა დანაშაული (ქუჩაში, სახლში თუ სკოლაში), საგარეულოდ, არსებობს, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

არ ტარდება ასევე კვლევები პრობლემის მიზეზებისა და იმ ზომების ეფექტურობის შესახებ, რომელსაც სახელმწიფო და სკოლა იღებს ამ მიმართულებით. არც იმის თქმა შეიძლება, რომ არაფერი კეთდება, მაგრამ რაც კეთდება, სისტემურ ხასიათს ნამდვილად არ ატარებს: პოლიცია საკითხს თავისი კუთხით იკვლევს, ნაკლებად თანამშრომლობს პედაგოგებთან და ფსიქოლოგებთან; მანდატურის მომზადება მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით არაადეკვატურია; ბუღინგთან დაკავშირებული ტრენინგები, ხანდახან, ზოგიერთ სკოლაში ტარდება; სკოლისა და ოჯახის ურთიერთკავშირი სუსტია და ბავშვების უსაფრთხოების კუთხით აღზრდას არ ეხება; მშობლების პედაგოგიური განათლება ქვეყნის მასშტაბით არ ხორციელდება; მასმედია მაშინ ერთვება სკოლაში უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობაში, როცა რამე საგანგაშო ხდება;

პრაქტიკულად, არ ხდება მოსახლეობის ინფორმირება ამ მიმართულებით სხვა ქვეყნებში მიღებული ზომების შესახებ; მეცნიერები არ არიან ჩართულები პრობლემის შესწავლასა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი ნათელა დოლონაძე აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ კვლევას ახორციელებს. იგი მადლობელი იქნება ყველასი, ვინც ანონიმურად ჩართვება ამ კვლევაში და უპასუხებს კითხვარს ლინკზე: <https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSeRaU9iicHCzkoAaqmTc23s-73nKYPAInKEE-TbtqmWaAdOO/viewform>

რაც უფრო მასშტაბური იქნება კვლევა, მით მეტი შანსია გარკვეული გავლენა მოახდინოს პრობლემის გადაწყვეტის სისტემური ზომების მიღებაზე. კითხვარის შევსებას სულ ორი წუთი უნდა, მაგრამ ფართო საზოგადოების (განსაკუთრებით, მშობლებისა და სკოლის) მასში ჩართვა უაღრესად მნიშვნელოვანია. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება. იმედია, სათანადო სტრუქტურები არ დარჩებიან გულგრილნი და გაითვალისწინებენ მიღებულ რეკომენდაციებს.

ჩაერთეთ კვლევაში, მიჰყვით ლინკს <https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSeRaU9iicHCzkoAaqmTc23s-73nKYPAInKEE-TbtqmWaAdOO/viewform> და უპასუხეთ კითხვარს

უმაღლესი განათლება

ევროპულ საბანანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის

ანა ფირცხალაიშვილი

2006 წლიდან ქვეყანაში ერთი ახალი ინსტიტუცია ფუნქციონირებს, რომლის მთავარი დანიშნულება განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად სათანადო მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა და განხორციელებაა. ეს განათლების ხარისხის განმეორების ეროვნული ცენტრია, რომელიც 12 წლის განმავლობაში, ეროვნული ინტეგრაციისა და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, მეტ-ნაკლები წარმატებით ახორციელებს მასზე დაკისრებულ მისიას. 2015 წლიდან, ცენტრის შიგნით მიმდინარე რეფორმამ, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, ვგულსხმობ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების ევროპულ სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანას. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულ რეფორმაციას ამ სფეროში, არადა თანამედროვე გლობალური სამყარო საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ ადამიანს, საკუთარი პროფესიონალიზმით დაიმკვიდროს თავი ამერიკასა თუ ევროპის ქვეყნებში.

გაგრძელებისა თუ დასაქმებისთვის, განსაკუთრებული აუცილებლობა ხდება ქართული სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტთან თანხვედრა. ქალბატონი თამარი ამბობს, რომ ამ საკითხზე მუშაობა 2016 წლიდან დაიწყო. მათ ჰქონდათ მოლაპარაკება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან, რომელიც ძალიან სკურპულოზურად ამოწმებს ამგვარ ცენტრებს და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს სათანადო ლიცენზიას. „მკრედიტების სანდოობა ძალიან მაღალი უნდა იყოს. ერთია იყო კომპეტენტური შეფასებაში და მეორეა მისეცე სწორი რეკომენდაციები გაუმჯობესებისათვის. ის სპეციფიკა, რაც საერთო სტანდარტისაგან განსხვავდება სამედიცინო მიმართულებაში, კანონისა და კანონქვემდებარე აქტების დონეზე, უკვე გავითვალისწინეთ. გავიარეთ კომპლექსური კონსულტაცია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელთან, რომელიც გვესტუმრა თბილისში, მისივე ჩართულობით განვხორციელეთ ინსტიტუციური შეფასება სამედიცინო უნივერსიტეტში, შეამოწმეს უშუალოდ ცენტრის საქმიანობა ქნადალზე დაწერილი და რეალურად განხორციელებული. მოგვიანებით, ფედერაციისგან მიღებული დასკვნა, რომელშიც, ბუნებრივია მითითებული იყო გარკვეული ხარვეზები, იმედის მომცემი ჩანდა, რადგან ძირითადი კრიტერიუმები დაეკმაყოფილებოდა. მათვე გვიჩვენეს, აღარ გადავადგველო ამ მიმართულებით მუშაობა; მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაეხვეწეთ კანონები, პროცედურები, გადაწყვეტილება მივიღეთ ექსპერტთან დაკავშირებით, რომ აუცილებლად სამედიცინო განათლების მქონე ყოფილიყო; ცენტრთან არსებული აკრედიტაციის საბჭოს გადმოვიტანე იყო საჭირო დარგობრივი კომპეტენციები და ესეც გავაკეთეთ; უკვე გავზავნილია პირველადი დოკუმენტაცია. ზაფხულში დაგეგმილია ფედერაციის 3-4 კაციანი წარმომადგენლობითი ვიზიტი ჩვენს ცენტრში. ისინი დაესწრებიან უკვე არა განმავითარებელ, არამედ საავტორიზაციო შეფასებას, დააკვირდებიან საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, ანუ კომპლექსურად შევფასებენ ერთი საავტორიზაციო პროცედურის ფარგლებში, რომლის დასრულებისა და შეფასების შემდეგ დადგება სამართლებრივი შედეგი. ბუნებრივია, პროცესში თავიდანვე ჩართული ჯანდაცვის სამინისტრო, რადგან დიპლომებში განათლება და შემდეგ პროფესიული განვითარება, თავიდან ბოლომდე, ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სფერო, მისი კომპეტენციაა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ დიპლომამდე განათლების ნაწილზე ვსაუბრობთ. როგორც კი ეს პროცესი გარკვეულ ეტაპამდე მივა, ვფიქრობ, ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა დაინიშნოს დიპლომ-შემდგომი განათლებისა და პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას შესაბამისი სტანდარტები და კრიტერიუმებიც აქვს. ასე რომ, საკვებით შესაძლებელია მათი საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა. ვფიქრობ, ესეც აუცილებლად გასაკეთებელია.“

მნიშვნელოვან საქმეს შეეჭიდა ჩვენი ცენტრი. მოგვხსენებთ, მსოფლიო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია თავად არ ახდენს საერთაშორისო აკრედიტაციას. მან უნდა დაამტკიცოს და აღიაროს საამისოდ უფლებამოსილი სააგენტოები (რომლებიც შემდეგ თავად მიანიჭებენ ან არ მიანიჭებენ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა თუ სკოლებს საერთაშორისო აკრედიტაციას. ასეთი მაძიებელია, ერთადერთი ჩვენს რეგიონში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც საერთაშორისო ლიცენზირების შემდეგ აღიარებული იქნება როგორც სააგენტო. აუცილებლად მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ არც ერთი ხელმძღვანელი დროს არ მახსოვს ცენტრის მხრიდან ასეთი პროგრესული ნაბიჯები, შესაბამისად - მიღწევებიც და რაც ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასეთი დიდი ყურადღება სამედიცინო განათლებისადმი. თამამად ვიტყვი, რომ მხოლოდ მათ მიაცვიეს ყურადღება დედლაინში, რომ 2023 წლის შემდეგ საქართველოში გაცემული დიპლომები არ იქნება აღიარებული. სწორედ ამ ინიციატივის შემდეგ იმუშავა დარგობრივმა საბჭომ და შექმნა ჯანდაცვის მსოფლიო ფედერაციის მიერ შემუშავებული გლობალურ სტანდარტთან ძალიან მიახლოებული დარგობრივი სტანდარტები. ჯერჯერობით საუბარია მხოლოდ დიპლომამდელი განათლების სტანდარტზე, რომ ჩვენი კურსდამთავრებული სრულფასოვან კონკურენტუნარიანად ჩათვალოს მსოფლიო ბაზარზე.

როგორც ვთქვით, ეს არის შესაძლებლობა, რომლის გამოყენებას დღეს ასობით საქართველოს მოქალაქე ცდილობს სწავლის გაგრძელებისა თუ დასაქმებისთვის, მაგრამ მიზნის მიღწევა ძალიან რთულია. ბარიერს ქმნის ის, რომ საქართველოში გაცემული დიპლომი არ არის აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით. ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი სწორედ ამ მიმართულებით აგრძელებს თავის საქმიანობას. რაკი ნებისმიერი ქვეყნის წარმატებულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი ჯანდაცვის სისტემის ხარისხია, ბუნებრივია, რომ აქცენტი, პირველ რიგში, სწორედ ამ სფეროზე კეთდება, მით უმეტეს, რომ 2010 წლის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და აშშ-ს საზღვარგარეთ მედიკოს კურსდამთავრებულთა კომისიის (ECFMG) ერთობლივი დეკლარაციის თანახმად, 2023 წლიდან, აღიარებული იქნება მხოლოდ საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები კურსდამთავრებულთა დიპლომები. აქედან გამომდინარე, მათი შემომწონები, მათკურნელები ინსტიტუცია შესაბამისი კომპეტენციის უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ რეგიონში არ არსებობს ისეთი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო, რომელიც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ იქნება ლიცენზირებული, ანუ რომელიც მის მიერ დადგენილი სტანდარტებით შეძლება უმაღლესი სამედიცინო სკოლისა და სამედიცინო პროგრამების აკრედიტაციას. „ამ საშუალების ხელისაგნადაა ყოვლად წარმოუდგენელია. ჩვენ ისედაც შევცვალეთ უმაღლესი განათლების სტანდარტები და პროცედურები და შესაბამისობაში მოვიყვანეთ ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტთან. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რაც ოდესმე შემუშავებულა ბოლონის პროცესის ფარგლებში – ეს არის სტანდარტი, რომელსაც მთელ ევროპაში უჭირავს ევროპული განათლების ხარისხი“ – ამბობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი თამარ სანიკიძე.

ჩვენ, როგორც ბოლონის პროცესის წევრი ქვეყანა, აფილირებული ვართ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციასთან და მასში განვერთიანება უკვე ნიშნავს, რომ საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლება აღიარებული იქნება ევროპულ დონეზე. სწორედ ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან თანხვედრამ მოგვცა საშუალება, სამედიცინო მიმართულებით გავგვეძლიერებინა გარკვეული კომპონენტები. ფაქტობრივად, ეს ორი პროცესი, თითქმის, ერთდროულად დაიწყო და მისი დადებითად დასრულება სხვა განზომილებაში ვადაიყვანს ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას, ზოგადად, და კერძოდ, მედიცინას.“

ბუნებრივია, მიმდინარე პროცესების შესახებ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, თავად სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა აზრი. ამიტომაც ვივარაუდებთ თს უნივერსიტეტის პროფესორს, სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, გაიანე სიმონიას, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს წევრიცაა. „უდავოდ დიდ და

სწორედ ამ ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ გადაწყდა, რომ პარალელურ რეჟიმში ცენტრს დაეწყო მუშაობა იმისათვის, რომ 2023 წლამდე, პირველ რიგში, თავად მოიპოვოს მაკრედიტებული ორგანოსთვის საჭირო ლიცენზია, რათა შეძლოს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად უმაღლესი სამედიცინო სკოლების ავტორიზაცია და აკრედიტაცია, ხოლო შემდეგ, თავად უმაღლესმა სამედიცინო სკოლებმა მოიყვანონ თავიანთი დიპლომამდელი სასწავლო პროგრამები საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. რაც შეეხება ჯანდაცვას, მართლაც სპეციფიკური სფეროა. ეს რეგულირებადი პროფესიაა, რომელსაც საერთაშორისო მარეგულირებელი ჰყავს. დღეს, როცა ძალიან დიდია გლობალური ბაზარი და ინტენსიურა სტუდენტების მოძრაობა სხვა ქვეყნებში სწავლის

დასრულებისა და შეფასების შემდეგ დადგება სამართლებრივი შედეგი. ბუნებრივია, პროცესში თავიდანვე ჩართული ჯანდაცვის სამინისტრო, რადგან დიპლომებში განათლება და შემდეგ პროფესიული განვითარება, თავიდან ბოლომდე, ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სფერო, მისი კომპეტენციაა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ დიპლომამდე განათლების ნაწილზე ვსაუბრობთ. როგორც კი ეს პროცესი გარკვეულ ეტაპამდე მივა, ვფიქრობ, ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა დაინიშნოს დიპლომ-შემდგომი განათლებისა და პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას შესაბამისი სტანდარტები და კრიტერიუმებიც აქვს. ასე რომ, საკვებით შესაძლებელია მათი საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა. ვფიქრობ, ესეც აუცილებლად გასაკეთებელია.“

დასრულებულია მხოლოდ დიპლომამდელი განათლების სტანდარტის არა მხოლოდ განახლება, არამედ მისი მეტად დეტალიზება. ცოდნასთან ერთად მოცემულია 13 დარგობრივი კომპეტენცია, რომლებსაც უნდა ფლობდეს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული. დეტალურადაა მითითებული მისი განხორციელების გზები, ამისათვის ვადა 2019 წლამდე გვაქვს. სერიოზული სამუშაოა, მხოლოდ ქნადალზე ახლებურად განვარა არაა საკმარისი, უნდა შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა, შესაბამისი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრები, ამისთვის სოლიდური თანხებია საჭირო, უნდა გადაშნადეს პერსონალი, რომელიც ახალი სტანდარტის სწავლებას შეძლებს და ა.შ. ძალიან ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. არსებული პროგრამული ხარვეზები მხოლოდ მონიტორინგის დროს გამოჩნდება – ვინც მოახერხებს და წარმოდგენილი პროგრამებით უპასუხებს საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს, გაავრძელებს მუშაობას, ვინც არადა ვერ მიიღებს აკრედიტაციას.

ასე რომ, 2023 წელი სულაც არ არის ისე შორს, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. საკმაოდ სერიოზული სამუშაოა წინ როგორც ჩვენთვის, სამედიცინო უმაღლესი სკოლებისთვის, ისე ცენტრისთვის, მაგრამ გარჯად ნამდვილად ღირს.“

იმედია, ხარისხის განვითარების ცენტრი, განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ, აღიარებული იქნება როგორც საერთაშორისო მაკრედიტებელი, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ხარისხის სწავლებას ქვეყნის შიგნით და მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისადმი ნდომის ამაღლებას, ინტერნაციონალიზაციასა და ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის თავისუფად გადაადგილებას სწავლის, სწავლების, კვლევისა თუ დასაქმების მიზნით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში.

ექვნიება დელა ენის დღეს

„ენა გვაქვს წინაპართაგან ვით განძი გადმონაცემი.“

დღესდღეობით მსოფლიოში ცნობილია 6000-მდე ენა, ზოგი მეტსაც ვარაუდობს. ზუსტი რიცხვის დასახელება შეუძლებელია, რადგან ბევრ ენასა და დიალექტს შორის საზღვარი პირობითია. ეს მრავალრიცხოვანი ენები, თავისთავად ცხადია, ერთდროულად არ განვითარებულან – ზოგი ენა ძველია (მათ საღვთო ენებსაც ეძახიან), ზოგი კი, შედარებით, ახალი.

ენას ხალხი ქმნის და ავითარებს. რაც უფრო ადრეა ჩამოყალიბებული ენა თუ ის ხალხი ერად, ცხადია, მით უფრო ძველია მისი ენა. გვაქვს უძველესი მკვდარი ენები, როგორებიცაა: აქადური, ანუ ასურული – ბაბილონური, რომელიც ძვ.წ. 5000 წლის წინანდელია; ძველი ხეთური, არამეული, ძველევკვიპტური. ამ ენებზე აღარ ლაპარაკობენ, ისინი მხოლოდ სპეციალისტებმა იცნან.

ამჟამად ცოცხალ ენათა შორის ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვთ: **ჩინურს, ებრაულს (საღვთო ენა), ბერძნულს, სომხურს** და მათ შორის, **ქართულს**.

მოლაპარაკეთა რაოდენობის მიხედვით, ამჟამად, მთელ მსოფლიოში, ტოლი არ ჰყავს ჩინურ ენას. ჩინურად მილიარდზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს; მეორე ადგილი უკავია ინგლისურს – 420 მილიონი, მესამე ადგილზეა ჰინდუსტანური – ინდოეთსა და პაკისტანში, მეოთხეზე – ესპანური, მეხუთეზე – რუსული, მეექვსე, მეშვიდე, მერვე ადგილები უკავია არაბულს, ბენგალურსა და ინდონეზიურს, მეცხრე – პორტუგალიურს, მეათე – იაპონურს, მეათერთმეტე – გერმანულს, მეათორმეტე – ფრანგულს. ამ ენებს „გოლიათი“ ენები ეწოდება.

არის ჯუჯა ენებიც, რომლებზეც სულ რამდენიმე ათასი კაცი ლაპარაკობს. მართალია, შეუძლებელია „გოლიათი“ და „ჯუჯა“ ენების თანასწორობაზე საუბარი; მათ შორის უდიდესი სხვაობაა განვითარების დონის, ფუნქციების, სტატუსისა და სხვა ნიშნების უხრივ, მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას, ქედმაღლურად უყუროს მცირე ხალხებისა თუ ტომების ენებს. **ყოველი დიდი თუ მცირე ენა კაცობრიობის სულიერი კულტურის ნაწილია, რომელსაც დაცვა, მოვლა და შესწავლა სჭირდება.**

როგორც ვიცით, ენას აქვს საკომუნიკაციო, ექსპრესიული და შემეცნებითი ფუნქციები:

ა) **საკომუნიკაციო** ფუნქციას პირველ რიგში ვასახელებთ, რადგან ის ღმერთის მიერ ენის წარმოშობის განმსაზღვრელი ფაქტორია. ენა განჩნდა ადამიანთა ურთიერთობების აუცილებლობის გამო.

ბ) არანაკლებ მნიშვნელოვანია ენის **ექსპრესიული** ფუნქცია, ანუ მისი როლი აზროვნების პროცესში. აზროვნების დროს სიტყვები გონებაში ისევე იბადებიან, როგორც ლაპარაკის ან წერის დროს. აზროვნება ობიექტური რეალობის ასახვისა და შემეცნების უმაღლესი ფორმაა, ენა კი აზროვნების ძირითადი იარაღია.

გ) ენას **შემეცნებითი** ფუნქციაც აქვს. ყოველ ენაში მოცემულია სამყაროს აღქმისა და შემეცნების გარკვეული მოდელი, რომელიც თითოეულ ენაში თავისებურია და არც ერთ სხვა ენის მოდელს არ ემთხვევა, მაგალითად: ქართული ცისარტყელა და რუსული радуга მნიშვნელობით სავესებით ერთნაირი, იდენტური სიტყვებია, მაგრამ, ერთ შემთხვევაში, ბუნების მოვლენა შედარებულია ცის სარტყელთან, მეორე შემთხვევაში – სამხიარულო რკალთან.

ჩვეულებრივ, თუ ხელს არაფერი უშლის, ადამიანი მეტყველებსა და აზროვნებს ინყებს თავისი მშობლებისა და წინაპრების ენაზე, თავის ხალხის ენაზე, ანუ მშობლიურ ენაზე, დედენაზე.

დედაენა ადამიანის უძვირფასესი საუნჯეა, რომელშიც ერთ მთლიან სისტემადაა ჩამოყალიბებული ხალხის აზრი, სულიერი ცხოვრების ისტორია, ქვეყნის ბუნება, ტრადიციები, ხასიათი და მენტალიტეტი. ხალხის ფსიქიკური წყობის თავისებურებანი თავის ბეჭედს ასვამს მის ბგერათა სისტემას, გრამატიკულ წყობას, ლექსიკას, ამიტომ ბავშვს ყველაზე უკეთ დედაენა უხსნის გონების კარიბჭეს და განაცდევინებს ისეთ სიტკბობებს, რასაც ვერც ერთი სხვა ენა ვერ მიანიჭებს.

ქართული ენა განეკუთვნება იმ განვითარებულ, კულტურულ ენებს, რომელთაც აქვთ უნივერსალური, სრულყოფილი დამწერლობა, გრამატიკა და უმდიდრესი ლექსიკა.

ქართული ენის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია:

1. თანხმოვანთა სიმდიდრე – მრავალფეროვნება და ხმოვანთა სიმარტივე: 28 თანხმოვანი და 5 ხმოვანი;
 2. ქართული თანხმოვნები ქმნიან სამეულეებს, წყვილეულეებს, ერთეულეებს;
 3. სიტყვის ფუძეში შეიძლება შეგვხვდეს ჰარმონიული კომპლექსები: ტყ, ჰყ, ჭყ, ქყ, თხ, ცხ, ჩხ და ა.შ.
 4. მახვილი ქართულში სუსტია;
 5. ქართულში სიტყვა ბევრგვარად იცვლება. ჩვენ გვაქვს მიმოსახრელი და წარმოსაქმნელი აფიქსები;
 6. ქართული სიტყვა აგებულია აგლუტინაციის პრინციპის მიხედვით: ყოველ გრამატიკულ მნიშვნელობას ცალკე აფიქსი გადმოგვცემს (სიტყვის დაშლა ადვილია);
 7. სახელი მარტივია, ზმნა შეუდარებლად რთულია;
 8. ბრუნვა მარტივია, რადგან ერთი ბრუნვის ნიშანი აქვს ყველა სიტყვას;
 9. ქართულ ენაში არ არის გრამატიკული სქესი და ა.შ.
- ქართული ენა, ისევე როგორც თურქული, **აგლუტინაციურ** ენას განეკუთვნება, თუმცა **ფლექსიური** ნიშნებიც აქვს. იგი **იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს განეკუთვნება.**

საქართველო ტერიტორიულად და ქართველი ერი რაოდენობრივად არასოდეს ყოფილა დიდი და მრავალრიცხოვანი, მტერი კი ბევრი ჰყავდა. მას ოთხივე მხრიდან ერტყა დიდი იმპერიები, რომელთაც ჩვენი ქვეყანა გეოპოლიტიკური და ბუნებრივი მდებარეობით იზიდავდა. სწორედ ამიტომ საკომუნიკაციო, ექსპრესიული და შემეცნებითი ფუნქციებთან ერთად ქართულმა ენამ იმთავითვე შეიძინა კიდევ ერთი ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია – **ენის გადარჩენის, სიცოცხლის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის.**

საუკუნე საუკუნეს მისდევდა. ქართული ენა ვითარდებოდა, იხვეწებოდა, მასზე ინერებოდა დიდებული ნიგნები, ქვაში აქანდაკებდნენ მშვენიერ ქართულ ანბანს, მაგრამ საფრთხე არ ნელდებოდა. **„აღვერივით ერსა უცხოსა“** – ნუხდა დიდი ერისკაცი იოვანე საბანისძე და საგანგებოდ აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ არაბმა აბომ ისწავლა და შეიყვარა ქართული ენა. მართალია, არაბებმა ბევრი სიტყვა დაგვიტოვეს ქართულში, მაგრამ ძირი და დედა მშობლიური ენისა ვერ შეარყიეს.

ქართული ენა განაბრწყინეს და განადიდეს IX-XI საუკუნეებში: გიორგი მერჩულემ, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელებმა, იოვანე პეტრიძემ და სხვებმა. ქართული მნიგნობრობის უდიდესი სკოლა შეიქმნა ათონის მთაზე. დავით კუროპალატი მეორე ოქროპირს უწოდებდა ექვთიმე მთაწმინდელს (ათონელს), რომელმაც 50-მდე ნიგნი თარგმნა ქართულიდან ბერძნულად და პირუკუ. XII საუკუნეში ინერებდა „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ენის ბრწყინვალე ნიმუში.

ახლა მონღოლები... ისევ საფრთხე – დედაენას. ქართული ენა ამასაც გადაურჩა. ნავიდან მონღოლები, ქართველი კი ისევ ქართულად ლაპარაკობდა.

აღორძინების ხანაში, სპარსთა და თურქთა მოძალების ყამს, კვლავ დღის წესრიგში დგება დედაენის, „ტკბილქართლის“, როგორც სულხან-საბა ორბელიანი იტყოდა, გადარჩენა. ინერება მისი „სიტყვის კონა“.

უცხოეთში გადახვეწილი დავით გურამიშვილი, უბრწყინვალესი პოეტური ნაწარმოებებით საბოლოოდ აყალიბებს და ხვეწს ქართულ სალიტერატურო ენას.

დადგა XIX საუკუნე. ჯერ არნახული სისასტიკით ებრძვის ქართულ ენას რუსეთის იმპერია. **„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“** – იტყვის გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ საქმით ცოტა კეთდება ერისა და ენის გადასარჩენად.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ქართული გონებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი, რომელთა შემოქმედებით ცხოვრებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის უმთავრესი საგანი იყო მშობლიური ენის ღირსების დაცვა და დამკვიდრება.

„გყვარდეს ერი შენი უმეტეს თავისა შენისა, ეს მაღალი მცნება კაცობრიობის საუკეთესო ნაწილისა ვერ განხორციელდება, – ამბობს იაკობ გოგებაშვილი, თუ მშობელმა ჯერ მშობლიური ენა – „ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“ არ ასწავლა შვილს. „უცხოეთში შეიძლება ადამიანმა სამშობლოს სახელი დაივიწყოს, მაგრამ ეროვნული ბუნება კი დიდხანს შერჩება. ასე უღმად ჩასდგა ქვეყნის შემოქმედმა საძირკველი ეროვნებისა ადამიანის ბუნებაში“ – დასძენს იაკობი და ამ მოსაზრების ბრწყინვალე დასტურია **ფერეიდანი** მცხოვრები ქართველების ფენომენი.

„ღმერთსაყე მინდა ვიცოდე, ვისწავლო დედა ენა მე. ვისწავლო და ვიმღერო მე ქართული წერა და კითხვა მე. ძილში ვწევარ და ვმღერი მე ქართულ დედა ენას მე, სამას ორმოცდაათი წელს ემისყე წინ ჩვენ ქართველებს. ბავშვებო, არ დაივიწყით თქვენ დედა ენისი მღერაც ქენ, ჩემყე საგბარი ქენტან ეს ასწავლეთ ენა ერთმანეთს.“

ასე ეფერება ოთხასი წლის მერეც ფერეიდნელი ქართველი დედა ენას.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ილია ჭავჭავაძემ ენისა და ქვეყნის სამსახურს შეაღია. **„მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის“** – გვაფრთხილებს იგი და სამი ღვთაებრივი საუნჯის – „მამული, ენა, სარწმუნოების“ დაცვას ითხოვს.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას უდიდესი მხატვრული შემოქმედების მქონე ნაწარმოებებმა, პრაქტიკულად, ჩამოაყალიბეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმები.

„მე მეგონია, ცხადი იყო ყველასათვის, – წერდა აკაკი წერეთელი, – რომ საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვექონია, ღრმად შემუშავებული და წესიერად დაკანონებული. ამას გვიმტკიცებენ „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „რუსუდანია“ და სხვა.“

„ქართული ენა გუმონ მონაგონი ხომ არ არის – ამბობს ვაჟა-ფშაველა, – იგი ძალიან დიდი ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებული ვაჟაკია... სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებანი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმნიკვლოდ ქართული ენა... სხვებს რომ თავი დავენებოთ, მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა – შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი.“

ყური მივუგდოთ რაფიელ ერისთავის ლექსის ლირიკულ გმირს:

„მაგრამ ყელს გინე, ყენო – შენი შვილების ღებნასა, – ისმინე ჩემი ვედრება, დღეს მე ნუ მომჭრი ენასა. მინდა მოკითხვა შევთვალო, ილაპარაკო ქართული, ვადილო იესო ქრისტე, სჯული ენასთან შართული.“

მე-19 საუკუნეში ამ დიდმა მამულიშვილებმა აღმართეს მშობლიური ენის ბაირალი და საპატრონოდ გადასცეს მე-20 საუკუნის ქართველობას.

საბჭოთა კავშირის 70-წლიან ეპოქაში ქართული ენა კვლავ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა: საქართველოს სამთავრობო ტალანტებში აღარ ისმოდა ქართული სიტყვა, წარმოება – დაწესებულებებში საქმიანობა მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარებოდა. რუსული იმპერიული ზრახვები ნელ-ნელა უახლოვდებოდა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც ჯერ კიდევ ქართულ ენაზე იყო სწავლება. 1978 წლის მარტ-აპრილში კინალამ სახელმწიფო ოფიციალური ენის სტატუსიც კი დაკარგა ქართულმა ენამ საქართველოში.

როცა ჩვენი ქვეყნის მეთაურები უნიათონი იყვნენ მშობლიური ენის მიმართ, სახელოვანი მეცნიერები: არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე და სხვანი ქმნიდნენ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატიმეულს, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი შატბერაშვილი წერდნენ ქართული ანბანისა და ქართული სიტყვის საგალობელს. ლადო ასათიანი „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“ უწოდებდა მშობლიურ ენას, მუხრან მაჭავარიანი ქართულ ენას „ქართველთა რწმენად“ უხმობდა, გიორგი ლეონიძე ეფერებოდა „მუხლად, ბედაურ“ ქართულ სიტყვას, ირაკლი აბაშიძე ქართულ ენას „ჭირთა ტკბილ მაღამოს“ ეძახდა და არ დარჩენილა XX საუკუნის საქართველოში მოაზროვნე ქართველი, რომელსაც ხოტბა არ შეესხას მშობლიური ენისადმი.

დაიშალა საბჭოთა იმპერია. ისევ აღმოჩნდით საფრთხის წინაშე. ახლა ინგლისური ენა „მოქალა“ ქართველობას. ქართველი მშობლები იმ მებღელს ემსგავსებიან, როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა, რომელსაც უხვი მოსავალი სურს და ხეხილს კი ძირს უთხრის და ამბობს. საკუთარ შვილებს უცხო ენას ასწავლიან და მშობლიურს კი ყურადღებას არ აქცევენ.

„დედაენა ადამიანისათვის ყველაზე მახლობელი, ყველაზე გასაგები, ყველაზე ბუნებრივი და ამ აზრით, ყველაზე უკეთესი ენაა“ – ამბობს პროფესორი ნოდარ ნათაძე და ეს უნდა ახსოვდეს ყველა თანამედროვე მშობლარს.

რა უყყოთ, რომ მცირე ერი ვართ და არც ჩვენი სამშობლოა ძალიან დიდი. ჩვენ გვაქვს უნივერსალური ენა მდიდარი ლექსიკითა და გრამატიკული აგებულებით. როგორც მსოფლიო სახელის მეცნიერი ნიკო მარი იტყოდა: **„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედადინაზე შეიძლება გამოითქვას, რა გინდა, რა ენით, – იგი ისე მდიდარია, რომ შეიძლება ითქვას – შინაგანი ბუნებით მსოფლიურია.“** ჩვენ გვაქვს უმშვენიერესი ანბანი, **მსოფლიო კულტურის არამატერიალურ საგანძურში შეტანილი**, ენა, რომელზედაც მსოფლიო დონის მხატვრული ნაწარმოებები დაიწერა. **ასე რომ, ქართული ენა იმ წყაროთაგანია, იაკობ გოგებაშვილის თქმით, რომლის დაშრობით** ბევრი დააკლდება მსოფლიო კულტურის ზღვას.

ამრიგად, სამშობლო მინა-წყალი, ენა და რჯული – ეს წმინდა სამება იყო საუკუნეთა მანძილზე ქართველების საპატრონოც და ქართველობის შემნახველიც. **მუდამ შიმ-ფხიზლობაში ინერებოდა და ვაჟკაცდებოდა ქართველი. ენა, მამული, რჯული ხდებოდა** მისი სინდისი და მობა, ამიტომ არც ერთი დაითმოვოდა და არც არასოდეს დაითმოდა.

გვახსოვდეს: ენის მოვლა-პატრონობა ყოველი კულტურული ერის უპირველესი საზრუნავია.

გვახსოვდეს:

„ენა გვაქვს წინაპართაგან, ვით განძი გადმონაცემი და როგორც სჯული, ენაა უმაღლესი პატივ-საცემი; ვინც ენას დაამახინჯებს, იქნება მისი დამცემი, ის ჩაითვლება საერთოდ, ვითარ იუდა გამცემი!“

სიმონ გუგუნავა, „დედა ენაზე“

შორენა მაშუკაშვილი
მარტყოფის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

- გამოყენებული ლიტერატურა**
1. იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ.2. თბ. 1954წ. „ბურჯი ეროვნებისა“, გვ.239, 208, 210,213,215.
 2. რამაზ პატარიძე, „ქართული მწერლობა“, თბ. 1989წ. გვ.14, 15;
 3. ზურაბ შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ. 1969წ.
 4. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ.4;
 5. აკაკი წერეთელი, თხზ. ტ.5, გვ.270;
 6. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა ათტომეული, თბ. 1995წ. „ენა“, გვ.664 ;
 7. რაფიელ ერისთავი, ლექსი „რაზე მიწყრები, ყენო“;
 8. ნიკო მარი, წერილები;
 9. ნოდარ ნათაძე, წერილები;
 10. სიმონ გუგუნავა, ლექსი „დედა ენა“.

კონფერენცია

პროფკავშირი კელაგობთა პრობლემების შესახებ

მაკა ყიფიანი

30 მარტს, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, საქართველოს პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის №3 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას ესწრებოდნენ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის დელეგატები, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი **ლევან ჯანგულაშვილი**, სპმთპ-ის განათლებისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი **თეიმურაზ კიკნაძე**, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი **რომან ბუღაღვა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ლია კარიჭაშვილი**, მონვეული სტუმრები, თბილისის 37-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ლარისა მელაძე**, 169-ე საჯარო სკოლის დირექტორი **მარინა დარსაველიძე**, 23-ე საჯარო სკოლის დირექტორი **მაგდა ბარამიძე** და სხვები.

კონფერენციის დღის წესრიგის თანახმად დელეგატების წინაშე მისასალმებელი სიტყვით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი **მაია კობახიძე** წარდგა, რომელმაც დელეგატებს ბოლო ორ წელიწადში სპმთპ-ის მიერ განეული საქმიანობა გააცნო: „ჩვენი ორგანიზაცია დღითი დღე ვითარდება, რაც მისასალმებელია. გვინდა შევექმნათ ისეთი პროფკავშირი, რომელიც, როდესაც ვერ მიიღებს დიალოგით შედეგებს, გამოიყენებს კანონით მიანიჭებულ ყველა უფლებას და შესაძლებლობას. სამწუხაროდ, მთლიანად საზოგადოებაში და მათ შორის პედაგოგებში, ვერ კიდევ არის მენტალური პრობლემები, რაც დაბალსაბოლოო ცნობიერებას უკავშირდება, ვერ ისევ დაბალია თავისუფლების ხარისხი“.

თამარ ჯანგულაშვილი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფექტორი, საზოგადოებასთან და საზღვარგარეთთან ურთიერთობის საკითხებში: „დღევანდელი კონფერენციაში ჩვენი ჩართულობის მიზანია, ხელი შევუწყოთ უნივერსიტეტისა და სკოლის თანამშრომლობას, რაც დაგვეხმარება,

უფრო მჭიდრო კავშირი დავამყაროთ სკოლასთან. ყოველკვარტალურად ვაწყობთ კონფერენციებს სკოლებისთვის, პედაგოგებისთვის, გვაქვს სხვადასხვა სასკოლო პროექტები, რაც სკოლებთან თანამშრომლობის საშუალებას გვაძლევს. დღევანდელი კონფერენციის პარტნიორები ვართ, აქტიურად ვთანამშრომლობთ პროფკავშირებთან უწყვეტი განათლების მიმართულებით. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ხელშეწყობა შევქონდეთ მასწავლებლებს იმისთვის, რომ აიმაღლონ კვალიფიკაცია, პედაგოგებისთვის გვაქვს უფასო კურსები, მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა. სამომავლო მიზანია, რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური მასწავლებელი იყოს ქვეყანაში. ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ვინვეთ უცხოელ ექსპერტებს და პროფესორებს, რომლებიც ჩვენთან, უნივერსიტეტში ატარებენ 3-4 დღიან უფასო ტრენინგებს მასწავლებლებისთვის, ანალოგიური პროცესი, ტრენინგ-კურსები დაწყებული გვაქვს კახეთის რეგიონში (იქ ჩვენი უნივერსიტეტის ფილიალია), ქართულის, ინგლისური ენისა და მათემატიკის მასწავლებლებისთვის, რათა დავნერგოთ უწყვეტი განათლება“.

კონფერენციაზე სპმთპ-ის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **თამარ ბარისაშვილი**, ისაუბრა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის მიერ განეული საქმიანობის შესახებ: „რაიონული ორგანიზაციის ყველაზე მაღალი ორგანო არის კონფერენცია. ლიდერები ვალდებული ვართ, 4 წელიწადში ერთხელ, წარვსდგეთ ჩვენი პროფკავშირის წინაშე და ჩავაბაროთ ანგარიში. ორ წელიწადში ერთხელ ტარდება საანგარიშო კონფერენცია. დღევანდელი შეკრების მიზნები სწორედ ეს არის. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაცია, 2018 წლის მარტის მდგომარეობით, 30 საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების, მათ შორის, 18 საჯარო და 1 კერძო სკოლის, 10 ბაგა-ბაღის, 1 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა პროფესიული გაერ-



თიანება: დემოკრატიული, მებრძოლი, აქტიური, ინტელექტუალთა, მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგთა და განათლების მუშაკთა ერთობა – ქვეყნისთვის ნებაყოფლობითი და მინც, ვერა და ვერ დავძლიეთ ის ბარიერი, რაც ორგანიზაციის რიცხოვნობა მარტინელს 100-პროცენტთან ნიშნულს მიახლოებდა. ვფიქრობთ, ჩვენი რაიონის პროფკავშირთა ძალისხმევაც სწორედ ამ კუთხით უნდა წარემართოთ. სხვაგვარად მასწავლებელთა საერთო ინტერესების დაცვა გაუჭირდება.“

ბაგა-ბაღების საქმიანობისა და მუშაკთა სოციალურ-მატერიალური ინტერესების დაცვა კვლავ აქტუალური და საშურ თემად რჩება; თვალშისაცემია უნდობლობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, რაც გუნდურობის პრინციპს ეწინააღმდეგება და უსიამოვნებისა და კონფლიქტების პირობა ხდება. ბაგა-ბაღების სააგენტოს ახალ წარმომადგენელთა დარწმუნება, მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, მხოლოდ რაიონული ორგანიზაციის დონეზე ვერ გადაიჭრება. საჭიროა როგორც ქალაქის მერიის წარმომადგენელთა, ასევე ჩვენი სათაო ოფისის თანამშრომელთა აქტიური ჩარევა.

თვალშისაცემია შიში და უნდობლობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, რაც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას; კანონის შესაბამისად ჯგუფებში მოზარდთა რაოდენობის საკითხი შესაცვლელია; ვერ კიდევ დაუდგენელი და გაურკვეველია სარეფორმო ცვლილებები პროფესიული ზრდის მაჩვენებლის შესაბამისად. დრო კი არ იცდის, კანონის მიღების შემდგომ არაფერი შეცვლილა.

რაიონის სამოქმედო გეგმაში მინდა შევიტანო ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი – თურქი ქართველების პრობლემა. ჩვენ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაცია, 24-ე, 37-ე და 36-ე საჯარო სკოლების მასწავლებლებმა შევიმუშავეთ ინოვაციური პროექტი – „ანი და ჰოე ვართ მე და შენ ქართველი“, რაც ითვალისწინებს იმერხევეში მცხოვრებ ქართველთათვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაცნობა-შესწავლას დისტანციური სწავლების მეთოდით.

ვფიქრობთ, ეს საკითხი ქალბატონი მაიას უშუალო ჩართულობით უნდა მოგვარდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეშვეობით. რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლობა მზადაა საქესპედიციო საქმიანობისათვის, ვინდლო პედაგოგებმა, ვინც ვერჯერობით მორიდან მაყურებელი არიან ჩვენი საქმიანობის, ამ წამოწყებით მაინც იგვრძნონ, რას ნიშნავს საზოგადოებრივი ერთობა, პროფკავშირული სულისკვეთება და პროფესიული ვალდებულება ერისა და ქვეყნის წინაშე, მასწავლებელი ხომ გვის მაჩვენებელია“.

კონფერენციაზე გამოხვედლამა პედაგოგებმა თავიანთი პოზიცია გამოხატეს სასწავლო პროცესის მიმართ. მომხსენებლებს შორის იყვნენ: თბილისის 37-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი **ანა დარსაველი**, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **თამარ ჩხაიძე**, თბილისის 24-ე საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ელენორა მჭედლიშვილი**, ხელოვნების მასწავლებელი **ტატიანა შათირიშვილი** და ამავე სკოლის სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი **მაია წინილაშვილი**.

მაია წინილაშვილი, თბილისის 24-ე საჯარო სკოლის რესურსთაბის სპეცპედაგოგი: „სკოლის რესურსთაბით სარგებლობენ სპე-

ციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, მუშაობა გვინევს სხვადასხვა სირთულის მქონე მოსწავლეებთან, რაც მოითხოვს უდიდეს ნებისყოფას, შრომას და ენერჯიას. თითოეულ მოსწავლესთან ვმუშაობთ ინდივიდუალურად, მათზე მორგებული პროგრამით და გრაფიკით. ხშირად მათთან მუშაობა ფსიქოლოგიურ სტრესთანაცაა დაკავშირებული, ვინაიდან, მოგეხსენებათ, ინკლუზიური განათლებით ასევე სარგებლობენ ქცევის დარღვევის მქონე მოზარდები.“

ამ მოცემულობაში კი ის ანაზღაურება, რასაც ჩვენ სპეცპედაგოგები ვიღებთ, მიზერულია. უმეტეს ჩვენთან აქვს მაგისტრის ხარისხი. თუმცა, ხელფასი საშემოსავლოს ჩათვლით, შეადგენს 350 ლარს მაშინ, როდესაც საჯარო სკოლის ბაკალავრის ხარისხის პედაგოგის ხელფასის მინიმუმი შეადგენს – 478 ლარს. ჩვენი მოთხოვნაა გაათანაბრდეს სპეცპედაგოგების სტატუსი პედაგოგის სტატუსთან და ვისარგებლოთ ყველა იმ პრივილეგიით, რითაც სარგებლობენ საჯარო სკოლის პედაგოგები. სპეცპედაგოგის შევსება შედგება 24 სამუშაო დღისგან, პედაგოგების კი – 40. 350-ლარიანი ანაზღაურებით სპეცპედაგოგებს გვინევს მუშაობა კვირაში 40 საათი, რაც უფრო მეტად აკნინებს ჩვენს მდგომარეობას.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, რატომ ვმუშაობთ ასეთ დაბალ ხელფასზე, რატომ ვთანხმდებით? დიახ, ვმუშაობთ. თუმცა, ძალიან ხშირად სპეცპედაგოგები ტოვებენ სამსახურს და გადადიან შედარებით მაღალანაზღაურებად პოზიციებზე, რის შედეგად, ისევ და ისევ მონაწილეები ვართ ხარისხისა და ხელფასის მიხედვით. მათ უნებურად დაგვავსებენ სხვებს, რაც გარკვეულ სტრესთან და სირთულესთანაა დაკავშირებული. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ახალი პედაგოგისთვისაც არაა მარტივი. სასურველია ამაზე მეტად დაფიქრდნენ შესაბამისი უწყებები.

მხოლოდ ნაკლოვანებებზე რომ არ ვისაუბროთ, ყურადღებას გავამახვილებ დადებით მხარეებზეც. ბოლო დროს იზრდება დაინტერესება ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართ. უფრო მეტად საკრძნობია თანადგომა და ყურადღება იმ ბავშვებისადმი, რომლებიც სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

სპეცპედაგოგებისათვის ყოველწლიურად მოქმედებს 3-თვიანი უფასო ტრენინგები კვალიფიკაციის და ცოდნის ამაღლების მიზნით. ამ ტრენინგებით შეუძლიათ ერთჯერადად ისარგებლონ დამწყებმა პედაგოგებმა, რაც უდიდესი გამოცდილებაა სპეცპედაგოგებისთვის. ასევე ესარგებლობენ თბილისის მერიის შეღავათიანი ტრანსპორტით.

ბოლოს მინდა აღვნიშნო პროფკავშირის დამსახურება ჩვენ წინაშე, რომლის ორგანიზატორებით 2017 წელს ორჯერ გავიარეთ 10-საათიანი უფასო ტრენინგი „ინკლუზიური განათლებისა და ზოგადი უნარების განვითარების მიზნით“.

საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე, სპმთპ-ის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დელეგატებმა **თამარ ბარისაშვილი** აირჩიეს. დასახელდა რაიონული საბჭოს შემადგენლობა და მე-9 საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის დასასრულს, სპმთპ-ის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის წევრები და სკოლები დაჯილდოვდნენ პროფკავშირულ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის.



პროფესიული განვითარება

პროფესიული უნარების გამოყენების მოსამზადებლად გთავაზობთ დამხმარე მასალას, რომელიც კითხვა-პასუხის ფორმატშია მომზადებული

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR TƏLİM VƏ İNKİŞAF NƏZƏRIYYƏLƏRİ

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით სწავლის და განვითარების თეორია

ყარსიერ ხარცერ պատասխანներով ՌԻՍԱՆՄԱՆ ԵՎ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՏԵՍՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

115. Velosiped sürmə vərdişinin mənimşənilməsi pillələri necədir?

İmitasiya: uşaq başqasının əməlinə baxır və onu təkrar etməyə çalışır, velosipedə oturma, sükanı düzgün tutmaq, pedalları hərləmək;

manipulyasiya: uşaq yadına salır ki, velosipeddə necə otursun, əllərini sükandan necə tutsun, müəllimin yardımını ilə velosipedi sürməyə çalışır.

Sonra müəllim şifahi göstərişlə yardım edir: "Sükanı düzgün saxla, ayağımı bir az yana çək və s."

Dəqiqlik: uşaq velosipedi artıq sərbəst, amma əlverişsiz idarə edir, tez-tez düşür və öyrəndiyi hərəkətləri çalışdırmağa çalışır.

Vərdişlərin kombinasiyası: uşaq çalışır ki, düz yolda hərəkətdən fərqli olaraq əllərin, ayaqların və bədənin korpusununun uyğun hərəkətlərinin başqa koordinasiya tələb etdiyində, yoxuşda və enişdə gəzməyi öyrənsin;

naturalaşdırma: uşaq velosipedi avtomatik elə idarə edir ki, öz bədəninin hərəkəti haqqında düşünmür, paralel olaraq, başqa hərəkətləri də həyata keçirə bilir, məs., əlləri məşğul olduğunda velosipedi idarə etsin.

116. Təhsil sistemində Blyum taksonomiyasından hansı məqsədlə istifadə edilir?

Blyum taksonomiyasından təhsil sistemində dərslərinin tərtib edilməsi, dərslərin proqramlarının işlənilməsi, hazırlanması və onların nəticələrinin qiymətləndirilməsi, dərslərin planlaşdırılması və test tapşırıqlarının tərtib edilməsi istifadə edilir. Eyni zamanda, Blyum taksonomiyasından təşkilatlarda əməkdaşlar üçün təlimin planlaşdırılması, təlim proqramının işlənilməsi, hazırlanması və təlimin nəticələrinin qiymətləndirilməsində istifadə edilir.

117. Viqotskinin nəzəriyyəsi nəyə əsaslanır?

Viqotskinin nəzəriyyəsi dörd əsas prinsipə əsaslanır:

- 1. Sosial-mədəni kontekstdə inkişaf təhlil edilməlidir;
2. Uşaq biliyi passiv şəkildə mənimsəmir, onu qurur;
3. İnkişafın əvvəlində təlim olmalıdır;
4. Psixi inkişafda mərkəzi yeri nitq tutur.

118. Təlimin və inkişafın qarşılıqlı münasibətində Piaje və Viqotskinin nəzəri yanaşmaları necədir?

✓ Piaje hesab edirdi ki, inkişaf təlimdən əvvəl gəlir. Digər sözlərlə desək, uşaqların əvvəlcə müəyyən koqnitiv strukturları, yəni sxemləri formalaşdırılmalıdır ki, onlar ətraf mühitə öyrənə və dərk edə bilsinlər.

✓ Viqotskinin nəzəriyyəsi isə ehtimal edir ki, təlim koqnitiv inkişafdan əvvəl gəlir və ona dəstək verir. Uşaq cəmiyyətdə mövcud simvolların əhəmiyyətini başqa insanlar tərəfindən çatdırılmanın əsasında öyrənir.

119. Özünü-tənظیم etmə bacarığını Viqotski necə izah edir?

İnkişaf uşaq tərəfindən simvolların əhəmiyyətlərinin mənimsənilməsindən ibarətdir ki, artıq müstəqil olaraq düşüncə və problemləri həll edə bilir. Bu bacarığı özünü-tənظیم etmə bacarığı adlandırılır.

120. Uşaq hansı pillələri keçməlidir ki, özünü-tənظیم etmə müstəqil düşüncə bacarığı onda inkişaf etsin?

İlk növbədə, dərk edilməlidir ki, əməllər və hərflərin konkret əhəmiyyətləri vardır.

Özünü-tənظیم etmə və müstəqil düşüncə bacarığının inkişafına doğru olan ikinci addım təcrübədir.

Son pillədə uşaq simvollarından istifadə edir, müstəqil fikirləşməyə və problemləri həll etməyə başlayır.

121. Viqotskinin fikrincə, sosial kommunikasiya uşağın inkişafında hansı rolunu yerinə yetirir?

Viqotski hesab edirdi ki, sosial kommunikasiya uşağın inkişafında mühüm rol oynayır. Onun nəzərlərinə əsasən, uşaqların təfəkkürü başqa insanlarla kommunikasiya nəticəsində inkişaf edir. Daha çox bilən və təcrübəli insanlarla kommunikasiya zamanı uşaqlar elə bir bilik əldə edirlər ki, bunları da müstəqil əldə edə bilməzdilər.

122. Sosial-mədəni nəzəriyyədə "hərəkət" nə üçün mühüm anlayış hesab edilir?

Hərəkət sosial-mədəni nəzəriyyədə mühüm bir anlayışdır.

115. როგორია ველოსიპედის ტარების ჩვევის ათვისების საფეხურები?

იმიტაცია: ბავშვი უყურებს სხვის მოქმედებას და ცდილობს გაიმეოროს – ველოსიპედზე დაჯდომა, საჭის სწორად დაჭერა, პედლების ტრიალი;

მანიპულაცია: ბავშვი იხსენებს, როგორ უნდა დაჯდეს ველოსიპედზე, როგორ უნდა მოჰკიდოს ხელები საჭეს, მასწავლებლის დახმარებით ცდილობს ველოსიპედის მართვას. შემდეგ მასწავლებელი სიტყვიერი მითითებით ეხმარება: „საჭე სწორად გეჭიროს, ფეხი ცოტა განზე განიე და ა.შ.“

სიზუსტე: ბავშვი უკვე დამოუკიდებლად, თუმცა მოუქნელად ატარებს ველოსიპედს, ხშირად ვარდება და ცდილობს გააფარჯიმოს ნასწავლი მოძრაობები.

ჩვევების კომბინაცია: ბავშვი ცდილობს ისწავლოს აღმართზე და დაღმართზე სიარული, როდესაც ხელების, ფეხების და ტანის კორპუსის შეთანხმებული მოძრაობები სხვაგვარ კოორდინაციას საჭიროებს, ვიდრე სწორ გზაზე მოძრაობა;

ნატურალიზაცია: ბავშვი ველოსიპედს ატარებს ავტომატურად, ისე, რომ არ ფიქრობს საკუთარი სხეულის მოძრაობებზე და, პარალელურად, სხვა მოქმედებების განხორციელებაც კი შეუძლია, მაგ., შეუძლია ხელები დაკავებული ჰქონდეს და ისე ატაროს ველოსიპედი.

116. რა მიზნით იყენებენ ბლუმის ტაქსონომიას განათლების სისტემაში?

ბლუმის ტაქსონომიას წარმატებით იყენებენ განათლების სისტემაში სასწავლო გეგმების შექმნის, სასწავლო პროგრამების შემუშავების და მათი შედეგების შეფასების, გაკვეთილის დაგეგმვისა და ტესტური დავალებების შედგენისას. ამავდროს, ბლუმის ტაქსონომიას იყენებენ ორგანიზაციებში თანამშრომლების ტრენინგის დაგეგმვის, ტრენინგის პროგრამის შემუშავებისა და ტრენინგის შედეგების შეფასებაში.

117. რას ეფუძნება ვიგოტსკის თეორია?

ვიგოტსკის თეორია ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

- 1. განვითარება სოციალურ-კულტურულ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს;
2. ბავშვი ცოდნას აგებს და არა პასიურად ითვისებს;
3. სწავლა წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას;
4. ფსიქიკურ განვითარებაში ცენტრალური ადგილი მეტყველებას უკავია.

118. როგორია ზიაჟეს და ვიგოტსკის თეორიული მიდგომები სწავლის და განვითარების ურთიერთმიმართებაზე?

✓ ზიაჟეს მიაჩნდა, რომ განვითარება წინ უძღვის სწავლას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვებს ჯერ გარკვეული კოგნიტიური სტრუქტურები, ანუ სქემები უნდა ჩამოეყალიბებოდათ, რათა მათ შეძლონ სამყაროს შესწავლა და შემეცნება.

✓ ვიგოტსკის თეორია კი ვარაუდობს, რომ სწავლა წინ უძღვის და ხელს უწყობს კოგნიტიურ განვითარებას. ბავშვი სწავლობს საზოგადოებაში არსებულ სიმბოლოთა მნიშვნელობებს სხვა ადამიანების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

119. როგორ განმარტავს ვიგოტსკი თვითრეგულირების უნარს?

განვითარება მოიცავს ბავშვის მიერ სიმბოლოთა მნიშვნელობების ისე გათავისებებას, რომ მას უკვე შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება და პრობლემების გადაჭრა. ამ უნარს თვითრეგულირების უნარი ეწოდება.

120. რა საფეხურები უნდა გაიაროს ბავშვმა, თვითრეგულირებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარი რომ განუვითარდეს?

პირველ რიგში, უნდა შეიცნოს, რომ მოქმედებებს და ბგერებს კონკრეტული მნიშვნელობა აქვს. მეორე ნაბიჯი, თვითრეგულირებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარის განვითარებისაკენ, არის პრაქტიკა.

ბოლო საფეხურზე ბავშვი იყენებს სიმბოლოებს, იწყებს დამოუკიდებლად აზროვნებას და პრობლემების გადაჭრას.

121. ვიგოტსკის აზრით, სოციალური კომუნიკაცია რა როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში?

ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. მისი შეხედულებით, ბავშვების აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ბავშვები იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შექმნას ისინი

115. Ինչպիսի՞ն են հեծանիվ վարելու հմտության յուրացման աստիճանները:

Նմանակում. երեխան նայում է ուրիշի գործողությանը և փորձում կրկնել այն՝ հեծանիվ նստել, դեկը ճիշտ բռնել, ոտնակները պտտել:

Մանիպուլացիա. երեխան մտաբերում է, թե ինչպես պետք է նստի հեծանիվ, ինչպես պետք է բռնի դեկը, ուսուցիչ օգնությամբ փորձում է վարել հեծանիվը: Այնուհետև ուսուցիչը բառային ցուցումով օգնում է. «Ղեկը ուղիղ բռնի՛ր, ոտքը մի փոքր կողքի քաշի՛ր և այլն»:

Ճշգրտում. երեխան արդեն ինքնուրույն, սակայն ոչ ճկուն վարում է հեծանիվը, հաճախ վայր է ընկնում և փորձում մարզել սովորած շարժումները:

Հմտությունների համադրություն. երեխան փորձում է սովորել վարել հեծանիվը վերելքին և վայրէջքին, երբ ձեռքերի, ոտքերի և իրանի համաձայնեցված շարժումները այլ համակարգման կարիք ունեն, քան ուղիղ ճանապարհի վրա տեղաշարժելիս:

Իրականացում. երեխան հեծանիվը վարում է ավտոմատ կերպով, այնպես, որ նա մտածում է իր մարմնի շարժումների մասին և գուցահեռաբար այլ գործողություններ ևս կարող է անել, օրինակ, կարող է ձեռքերը զբաղված լինեն և այնպես վարի հեծանիվը:

116. Ի՞նչ նպատակով են կիրառում Բլումի տաքսոնոմիան կրթական համակարգում:

Բլումի տաքսոնոմիան հաջողությամբ են կիրառում կրթական համակարգում ուսուցչական պլաններ ստեղծելու, ուսուցչական ծրագրեր կազմելու և դրանց արդյունքների գնահատման, դասի պլանավորման և թեստային առաջադրանքներ կազմելու համար: Մինչև 1950-ականները, Բլումի տաքսոնոմիան կիրառում են կազմակերպություններում համագործակցության թրեյնինգի պլանավորման, թրեյնինգ-ծրագրի կազմելու և թրեյնինգի արդյունքների գնահատման մեջ:

117. Ի՞նչի վրա է հիմնվում Վիգոտսկու տեսությունը: Վիգոտսկու տեսությունը հիմնվում է չորս հիմնական սկզբունքների վրա.

- 1. Զարգացումը պետք է իրականացվի սցիալ-մշակութային համատեքստում:
2. Երեխան գիտելիքը կառուցում է և ոչ պասիվ կերպով:
3. Ուսանումը պետք է նախորդի զարգացմանը:
4. Հոգեկան զարգացման մեջ կենտրոնական տեղ է զբաղեցնում խոսքը:

118. Ինչպիսի՞ն են Պիաժեի և Վիգոտսկու տեսության մտեցումները ուսանման և զարգացման փոխհարաբերության մասին:

✓ Պիաժեն համարում էր, որ զարգացումը նախորդում է ուսանմանը: Այլ կերպ ասած՝ երեխաների մոտ դեռ պետք է ձևավորվեն որոշակի կառուցվածքներ, այսինքն՝ սխեմաներ, որպեսզի նրանք կարողանան ուսուսասիրել և ճանաչել շրջապատող աշխարհը:

✓ Իսկ Վիգոտսկու տեսությունը նկատարում է, որ սովորելը նախորդում է և նպաստում իմացական զարգացմանը: Երեխան սովորում է հասարակությունում առկա խորհրդանիշների նշանակությունը այլ մարդկանց կողմից տրամադրված տեղեկությունների հիման վրա:

119. Ինչպե՞ս է բացատրում Վիգոտսկին ինքնակարգավորման ունակությունը:

Զարգացումը ներառում է երեխայի կողմից խորհրդանիշների նշանակությունների այնպիսի յուրացում, որ նա արդեն կարող է ինքնուրույն մտածել և լուծել խնդիրները: Այս ունակությունը կոչվում է ինքնակարգավորման ունակություն:

120. Ի՞նչ աստիճաններ պետք է անցնի երեխան, որպեսզի զարգանա նրա ինքնակարգավորման և ինքնուրույն մտածողության ունակությունը:

Նախ՝ պետք է գիտակցի, որ գործողությունները և հնչյուններն ունեն կոնկրետ նշանակություն: Հաջորդ քայլը դեպի ինքնակարգավորման և ինքնուրույն մտածելու ունակության զարգացում, պրակտիկան է:

Վերջին աստիճանում երեխաները կիրառում են խորհրդանիշներ, սկսում են ինքնուրույն մտածել և խնդիրներ լուծել:

121. Ըստ Վիգոտսկու, երեխայի զարգացման մեջ ի՞նչ դեր է կատարում սցիալական հարողակցությունը: Վիգոտսկին համարում էր, որ սցիալական հարողակցությունը նշանակալի դեր է կատարում երեխայի զարգացման մեջ: Նրա կարծիքով, երեխաների մտածողությունը զարգանում է ուրիշ մարդկանց հետ հարողակցության արդյունքում: Ավելի գիտակց և փորձառու մարդկանց հետ հարողակցության ժամանակ երեխաները ձեռք են բերում այնպիսի գիտելիք, որը նրանք չեն կարողանա ինքնուրույն ձեռք բերել:

ლადო აფხაზავას ჩანაწერები

დუბაი – საოცრებათა ქალაქი დღე პირველი

რამდენიმე თვე ველოდი, როდის დადგებოდა მარტი და განათლების გლობალური ფორუმის ორგანიზატორებისგან მივიღებდი მონვევას. და აი, როგორც იქნა, ჩემს ელექტრონულ ფოსტაზეც მოვიდა წერილი – გვეპატივებოდნენ საქართველოს წარმომადგენლებს და ჩვენც წავედით – „კოალიცია განათლება ყველასათვის“ დამფუძნებელი, ქალბატონი ირინა ხანთაძე და თქვენი მონა მორჩილი.

სრულ ბურუსში გახვეულებმა ვერც კი შევნიშნეთ, თუ როგორ მივუახლოვდით ქალაქ დუბაის და ქვევით დაშვება და ვინყეთ. გზა სასტუმროსკენ არასდროს დამავინყებდა. ცათამბვჯენებს თვალს ვერ ვანვადენდი (ლანჩუთში ცხრასართულიანი სახლებიც არ არის და წარმოიდგინეთ ჩემი რეაქცია ამხელა შენობების დანახვისას). სასტუმროში დაბინავების შემდეგ გადავხედეთ მეორე დღის განრიგს და გათენებას დაველოდეთ. დილის 6 საათზე უკვე განათლების გლობალური ფორუმის დარბაზში ვიყავით.

ნამდვილად არ ვარ განებივრებული მსგავს ადგილებში თუნდაც ერთი საათით ყოფნით და აქ ორი ჯადოსნური დღე უნდა გამეტარებინა. რატომღაც არ მეგონა, ეს ყველაფერი ცხადში თუ ხდებოდა. ასეთ დროს დაძაბული ვარ და ვცდილობ, არაფერი შემეშალოს. თუმცა, ახლა, თანამგზავრის იმედად, ძალიან თავისუფლად ვგრძნობდი თავს. ფორუმშიც დაინყო და სავესტდარბაზს გადავხედე. „აი, ქალაქი, რომელმაც დროს გაუსწრო და ადამიანები, რომლებიც თავიანთმა საქმეებმა და დრომ გამოარჩია,“ – გამიელვა გონებაში.

დარბაზში ისხდნენ სხვადასხვა ეროვნების მასწავლებლები, მათგან ბევრი ნაციონალურ სამოსში იყო გამოწყობილი. მეც არ დავაყოვნე და ყველასთვის ნაცნობი გურული ყაბალახი მოვიხვიე. წლებიანდელი კონფერენციის მთავარი თემა იყო – როგორ ვამზადებთ ბავშვებს მომავალი სამყაროსთვის ტექნოლოგიების განვითარების პირობებში და როგორ ვიყენებთ ტექნოლოგიებს, რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებიან ჩვენი მოსწავლეები და როგორ ვამზადებთ მათ მომავლისთვის. საინტერესო პრეზენტაციები და ტურები ერთმანეთს ენაცვლებოდა, ვუსმენდით ადამიანებს, რომლებმაც რევოლუციური ცვლილებები მოახდინეს და საზოგადოება გააოცეს თავიანთი შრომითა და გამოცდილებით.

ფორუმზე ყველაზე ამაღლებელი იმ სამი მოსწავლის გამოსვლა იყო, რომლებმაც ამერიკაში ახალ მოძრაობას „სიცოცხლის მარშს“ ჩაუყარეს საფუძველი. ამ ბავშვებმა თავად გამოსცადეს ფლორიდაში თავდასხმა სკოლაზე და სასწავლებლებზე გადაარჩინეს. მათმა ხმამ ვაშინგტონამდეც მიიღწია, მათთვის მიუღწეველი თითქოს ალარაფერია, ამ ბავშვებს ფორუმის პირველ დღეს მსოფლიოს მასწავლებლები ფეხზე წამოუდგნენ. დარბაზში ტაშის გრილი დიდხანს არ გაჩერებულა.

„ჩვენ ვაძულებთ ხელისუფლებას შეცვალოს იარაღის კანონი და გაამკაცროს იგი“ – აცხადებენ მტკიცედ და შეუპოვრად. რთულია, მათ ფეხზე არ წამოუდგე და მხარდაჭერა არ გამოუცხადო მათ მოთხოვნებს.

პირველი დღის დასასრულს ზღვის პირას მივინვიეს ფორუმის მონაწილეები და გვზოტიკური კერძებითა და სასმელებით გავვიმასპინძლდნენ.

გულში მიხაროდა, რომ ჩვენი პატარა საქართველო მსოფლიოს ნაწილი იყო ამ დღეს, ჩვენც იქ ვიყავით და მომავალში სხვა ქართველი მასწავლებლები აუცილებლად იქნებიან აქ. რატომღაც, უცბად მომინდა ჩემს მეათეკლასელებს დაენახათ ეს საოცარი მრავალფეროვნება.

გლობალური ჯილდოს ცერემონია დღე მეორე

გაგვფრთხილეს, რომ რამდენიმე წუთში აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალ გორი გვესტუმრებოდა. ისიც შემოგვიერთდა და კლიმატის კრიზისზე დაიწყო საუბარი. მისი დაუფინსარი პრეზენტაცია საოცარი კადრებითა და ვიდეორგოლებით იყო გაფორმებული, დამაფიქრებელი მონოდებებითა და სიტყვებით სავსე. ალ გორმა მოუწოდა ქვეყნებს ალტერნატიული ენერჯის წყაროებზე გადასვლისა და განათლების სისტემის ცვლილებებისკენ.

დაჯილდოების ცერემონიამდე სხვადასხვა პავილიონში ვესწრებოდით მრავალფეროვანი თემატიკის მინი-კონფერენციებსა და შეხვედრებს. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ათი ფინალისტის ერთმანეთზე უკეთესი მასტერკლასები. ჩემდა საბედნიეროდ, ყველას დავესწარი. მთავარი სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში კი ამ დროს დიდი ალიაქოთი იყო ატეხილი, რადგან იქ დეკორაციები და კონსტრუქციები საოცარი სისწრაფით იცვლებოდა. ცერემონია, 6 საათის ნაცვლად, 7 საათზე დაიწყო. ადამიანებისთვის ყველაზე საინტერესო იყო ის, თუ ვინ გახდებოდა ათი ფინალისტიდან გამარჯვებული და რომელი ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებდა 1 000 000 დოლარს. ჩემი რჩეული აფრიკელი ისტორიის მასწავლებელი ქალბატონი გახლდათ, თუმცა მოვლენები სხვანაირად განვითარდა.

ლონისძიებს უამრავი ცნობილი ადამიანი დაესწრო, მათ შორის, როგორც ზემოთ მოვასხენეთ, იყვნენ აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალ გორი, ასევე საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, ოსკაროსანი მსახიობი ჯენიფერ ჰადსონი, ოთხჯგის ოლიმპიური და ექვსჯგის მსოფლიო ჩემპიონი სირბილში მო ფარაჰი, ავსტრალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჯულია ჯილარდი, ბოლივუდის ვარსკვლავი პრიანკა ჩოპრა და სხვ.

წელს გამარჯვებული 7000 მოსწავლისგან შემდგარმა კოპორტამ გვამცნო სპეციალურად დამზადებული ვიდეოს მეშვეობით. მას ასე, მინდა გავაცნოთ იგი – ანდრია ზაფიროკუ, ბრიტანელი პედაგოგი, რომელმაც მოიგო მასწავლებლის გლობალური ჯილდო. გამარჯვებულს ჯილდო შეიხ მოჰამედ ბენ რაშიდ ალ მაკტუმმა, არაბეთის გაერთიანებული ემირატების ვიცე-პრეზიდენტმა, დუბაის მმართველმა, გადასცა.

გამარჯვებული გამოვლინდა თუ არა, გლობალურ ფორუმზე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ვიდეომილოცვა გაუშვეს. თავის სიტყვაში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ტერეზა მეიმ აღნიშნა: „მასწავლებლობა გულისხმობს ტაქტს, გულწრფელობასა და დიდსულოვნებას. ეს ის თვისებებია, რომლებსაც თქვენ მოსწავლეებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში იყენებთ, მაღლობა ყველაფრისთვის, რასაც აკეთებთ და ვიცი, რომ კვლავ გააკეთებთ“. ასევე, ტერეზა მეიმ მაღლობა გადაუხადა შეიხ მოჰამედ ბენ რაშიდ ალ მაკტუმს მასწავლებლის პროფესიის მხარდაჭერის, პოპულარიზაციისა და მასწავლებლის გლობალური დაჯილდოების ცერემონიის პატრონაჟისთვის. ანდრია ზაფიროკუ ჩრდილოეთ ლონდონში (ბრენტში), ალ-



ბერტონის სკოლაში ხელოვნებასა და ხელსაქმეს ასწავლის. ბრენტში ეთნიკურად ყველაზე მრავალფეროვანი ადგილია ლონდონში. იქ სკოლებში დაახლოებით 130 ენაზე მოლაპარაკე მოსწავლეები დადიან. ეს ბავშვები არიან უღარიბესი ოჯახებიდან. ბევრი მათგანი ბანდების ძალადობის მსხვერპლია. მოსწავლეებს ურთიერთგაგება და მასწავლებლებთან ურთიერთობა უჭირთ. ანდრია მათი და მათი ოჯახის წევრების წდობის მოპოვება შეძლო, რადგან ფლობს 30-მდე ენის საბაზისო ლექსიკას და იყენებს ამას მოსწავლეებთან საუბრისთვის. პოლიციასთან თანამშრომლობით ცდილობს დაიცავს მოსწავლეების უსაფრთხოება და შეუქმნას მათ პირობები სწავლისათვის. ანდრია მოხალისეა და ადამიანები გაკვეთილებს ატარებს სკოლაში, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სივრცე სწავლისათვის (ბევრ მათგანს ამის პირობები შინ არ აქვს). ანდრიას ინიციატივით სკოლაში ბევრი კლუბი და წრე შეიქმნა, რომლებიც მოსწავლეებს სირთულეების დაძლევაში ეხმარება.

2019 წელს, ისევ მარტში, კიდევ ერთი ქართველი მასწავლებელი იმოგზაურებს ამ საოცარ ქვეყანაში და სწორედ ის გაგვიზიარებს იქ ყოფნის განცდებსა და ემოციებს. გამოცდილების გაზიარება, ვფიქრობ, ძალიან დიდი ნიჭია და ამიტომაც მჯერა, ძალიან ბევრი მასწავლებელი შეაგებს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს აპლიკაციას. ვიმედოვნებ, რომ 2018 წლის გლობალური ჯილდოს გამარჯვებული ანდრია ზაფიროკუ დაგვთანხმდება და საქართველოში გვესტუმრება „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ გადაცემის რიგით მეორე ცერემონიაზე.

საქართველო მსოფლიოს ნაწილია და ამ სიახლოვეს ნამდვილად შეუწყვეს ხელი განათლების სფეროში მოღვაწე ერთად შეკრულმა ორგანიზაციებმა თუ პიროვნებებმა, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან ამ რთულ საქმეს და რომელთა მიზანია, რომ მსოფლიოს არ ჩამოვრჩეთ.

ასალი აზრები

მაუთჰაუზენის ქართველი ტყვეები

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტში „ავსტრიის ქართველ სტუდენტთა ასოციაციის“ პროექტის „მაუთჰაუზენის ქართველი ტყვეები“ პრეზენტაცია გაიმართა. ლონისძიებს პოლიტიკური თანამდებობის პირები, სამეცნიერო და აკადემიური წრეების

წარმომადგენლები და იმ დაღუპული სამხედრო ტყვეების შთამომავლები ესწრებოდნენ, რომელთა მოძიებაც სტუდენტებმა შეძლეს. პრეზენტაციას ესწრებოდა, ასევე, ავსტრიის ელჩი საქართველოში არად ბენკო.

ავსტრიაში მცხოვრებმა ქართველმა სტუდენტებმა, მარკა ბეჟაურმა და სალომე სა-

ლადემ, მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში 90 ქართველი სამხედრო ტყვე აღმოაჩინეს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებოდნენ. ამჟამად, სტუდენტები დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ოჯახის წევრებსა და შთამომავლებს ეძებენ, ჯერ მსოფლიო 21-ის შთამომავლების მოძიება შეძლეს.

„ეს გახლავთ პირველი კვლევა, რომელმაც რეალურად აღმოაჩინა 90 ქართველი ჯარისკაცის კვალი ავსტრიის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და განსაკუთრებით მძიმე პირობების საკონცენტრაციო ბანაკში. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ მსგავსი მასშტაბის პროექტების განხორციელებას, ასევე, თანამშრომლობას მედიასთან, რათა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, სახელმწიფოებრივი და ეროვნული ღირებულებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები,“ – აღნიშნა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარკა ჯაშმა. მან მაღლობა გადაუხადა როგორც კვლევის ავტორებს, ასევე ტ/კ „იმედის“ გადაცემის „იმედის კვირის“ შემოქმედებით ჯგუფს იმ დახმარებისთვის, რომელიც კვლევის ხელშეწყობის მიზნით განახორციელა, „ქრონიკის“ კორესპონდენტ ცოტნე გეგაჭკორს და „იმედის კვირის“ შემოქმედებით ჯგუფს, კომიტეტის სახელით, მაღლობის სიგელი გადასცა.

სალომე სალაძის ინიციატივით, მაუთჰაუზენის ბანაკი ავსტრიის ტერიტორიაზე არსებული მთავარი საკონცენტრაციო ბანაკი იყო და მიეკუთვნებოდა მესამე, განსაკუთრებით მძიმე პირობების მქონე ბანაკთა რიცხვს. „1938-1945 წლებში აქ, 190 000-მდე ადამიანი იმყოფებოდა ტყვეობაში, მათგან, დაახლოებით, 90 000 ბანაკის მკაცრ რეჟიმს შეეწირა. ათეულობით ქვეყანას, ნაციონალ-სოციალისტურ რეჟიმს შეწირული თავიანთი მოქალაქეების სახელზე, ბანაკში სიმბოლური დაფა აქვს აღმართული, რომელსაც 2018 წლის 17 თებერვალს ქართველი ტყვეების მემორიალური დაფაც შეემატა.“

პარლამენტის წევრებმა მზაობა გამოხატეს, ხელი შეუწყონ ახალგაზრდა მკვლევრებს, სალომე სალაძეს და მარიამ ბეჟაურს, „მაუთჰაუზენის ქართველი ტყვეების“ პროექტის შემდგომი ეტაპების განხორციელებაში.

ავსტრიის ელჩის, არად ბენკოს განცხადებით: „ეს არის მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც ნარსულის უკეთ გაცნობა იქნება შესაძლებელი, ცხადია, უნდა ვიცოდეთ ნარსული. ჩვენ უნდა გავუხსნოთ თვალი იმასაც, რომ ნარსულის რაღაც ეტაპები არ არის საამაყო. ამგვარი პროექტების კეთება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ამისათვის – თითო ნაბიჯს მაინც გადავდგამთ საზოგადოების გაჯანსაღებისა და უკეთესი მომავლისკენ.“



მაუთჰაუზენის ქართველი ტყვეების მემორიალის გახსნა

რეპორტი

მეგობრობისა და სიყვარულისთვის

ცხოვრება ყოველი წუთის შეგროვებაა... ჰო-და, მეც ვაგროვებ ჩემს ფერად სამყაროში გატარებულ ყოველ წამს. ძალიან საინტერესოა იმ მოვლენის ახსნა და შესწავლა, რაც ადამიანის შიგნით ხდება. მასწავლებლობამ, ერთდროულად, საკუთარ თავში ექსპერიმენტის საგანიც გამხადა და შედეგების გამოკვლევაც. ჩემი საქმით მიღებული გამოცდილებამ მასწავლა, რომ „ადამიანი მაშინაა ყველაზე ბედნიერი, როცა საკუთარ თავს იპოვის“. მე კი, ამ სამყაროში, რომელსაც სკოლა ჰქვია, ჩემი ადგილი ვიპოვე. ამ ყველაფრისთვის გავიარე საჭირო გზა, რომელზეც შევხვდი: წარმატებას, იმედგაცრუებას, სიკეთეს. ვფიქრობ, რომ ციდან ჩამოფრენილი გასაღები ადამიანს საკუთარ თავს ვერ აპოვინებს, ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება, ენერჯია და პასუხისმგებლობა, რომელიც ყველა დაბრკოლებას დაგვადლებს.

გამოზაფხულდა, იმედია სითბო უფრო მეტად ამრავალფეროვნებს ჩემს ფიქრებს, უკვე ღამეა და წერისათვის განვეწყვე. ჩემი გულწრფელი და ემოციური ნაწერების უმრავლესობა სწორედ ღამეა შექმნილი. არ მიყვარს ერთფეროვნება და ყოველთვის ვცდილობ, ჩემს ცხოვრებაში მრავალფეროვნება შევიტანო, რათა ამით გადავფარო ყველა დაბრკოლება, რომელიც მუდმივად სდევს ყოველდღიურ ცხოვრებას. ეს საქმე კი მუდამ შევებას მძღვეს, ვგრძნობ, რომ ბოროტს ვერ გახდის, ბრძოლის ძალას მძღვეს და მოსწავლეებთან ერთად გატარებული ყოველი წამი სიამოვნებას მგვრის.

მასწავლებლობა ხელოვნებაა, ოსტატობა, ადამიანობა, სხვისთვის გზის გამკვლავება და ვფიქრობ, ყველა ადამიანს შესწევს იმის ძალა და უნარი, ეს ყველაფერი შემსწავლელად მიიტანოს, უბრალოდ, ამის სურვილი უნდა ჰქონდეს თითოეულ ინდივიდს, რომელიც ამ რთულ საქმეს შეეჭიდება. ყოველთვის ვფიქრობ, რა შევითანო ახალი, რა დავგვემო ისეთი, რაც ჩემს მოსწავლეებს ადამიანობას ასწავლის და სიკეთეს აგრძობინებს, სულ ის ემოცია მდევს თან, რომ შეძლონ კარგისა და

ცულის, სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, ამიტომ ძალიან ბევრ პროექტს ვაკეთებ, რომ სწორად მივიტანო სათქმელი მსმენელამდე, დავანახო ყველა გზა, სიტუაცია, სხვადასხვა გარემოება, რაც საკუთარი თავის დამკვიდრებაში დაეხმარება.

როგორც მოგეხსენებათ, 21 მარტი, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული, აგრეთვე, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა. გადავწყვიტეთ, ეს ორი თარიღი დავეკავშირებინა ერთმანეთთან. ძალიან მიყვარს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული იმიტომ, რომ სიცოცხლის, ახლის დაწყების და ბუნების გაღვივების დროა. რაც მუშაობა დაიწყე, იმის შემდეგ ამ დღესასწაულს აქ ვხვდები. გადავწყვიტეთ, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლამოვანის საჯარო სკოლისა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის მე-16 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად, განგვეხორციელებინა პროექტი. ჩვენი მიზანი იყო ინტერკულტურული განათლებისთვის ხელშეწყობა.

თვეების წინ, პედაგოგ **გაგა ქორიძის** ინიციატივით, ამ სკოლების მოსწავლეებთან ერთად, მცხეთის ისტორიულ გათხრებში მივიღეთ მონაწილეობა, ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა; ამას ახალი ნაბიჯები მოჰყვა. გადავწყვიტეთ, მასპინძლობა გავგვეჩინა ამ სკოლებისთვის, ხელი შეგვეწყო ინტერკულტურული განათლებისთვის – მოსწავლეები ერთმანეთს საკუთარ კულტურასა და ტრადიციებს გაუზიარებდნენ... დიდი დავინეტე ნახატების მომზადება, რითაც მხარდაჭერა გამოვუცხადეთ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს. ბავშვები ძალიან თბილად შეხვდნენ ამ თემას, რაც შარშან, ამ დღესთან დაკავშირებით განხორციელებული პროექტითაც იყო განპირობებული და, რასაც უკვალად არ ჩაუვლია. მათ ინტერნეტში მოიძიეს ინფორმაცია, რამდენიმე მოსწავლე ჩავენრეთ და სტუმრებთან ერთად, სპონტანურად, მოკლე ვიდეოკოლაჟი მოვამზადეთ, რითაც ჩვენი სათქმელი ვუთხარით საზოგადოებას და

სოლიდარობა გამოვუცხადეთ ბენეფიციარებს. პროექტის მომზადებას დიდი შრომა სდევს თან, მაგრამ ყველაზე ემოციური მაინც მისი პრეზენტაციაა. დიდი დანაშაურობით ოთახი სტუმრების დასახვედრად; ჯერ მათთან ერთად დავესწარით ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულს, შემდეგ კი საბირკენდის საჯარო სკოლაში გადმოინაცვლეს. სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის იჩენენ ინტერესს, როცა ქართველები ჩამოდიან მათ სოფელში, უხარიათ და ფიქრობენ, რომ ინტეგრაციისთვის ამგვარი ურთიერთობები მნიშვნელოვანია.

წინასწარ გვექონდა დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც ყველა პედაგოგი თუ მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული. საინტერესო გამოვიდა გაცნობითი ხასიათის თამაშები. მასწავლებლები დაიწყეს ჯგუფებად. თითოეულ ჩვენგანს კი, მოსწავლეების სახით, სამიზნე ჯგუფი გვეყავდა. ერთმა ჯგუფმა ვიდეოგოლი მოამზადა დაუნის სინდრომზე, მეორე ჯგუფმა ცეკვა შმოგვათავაზა, გვეჩვენა ამერიკელი მოხალისე **მარიანა ზონენბერგი**, რომელიც დაეხმარა მოსწავლეებს. აგრეთვე გვეჩვენა ლამოვანის საჯარო სკოლის დირექტორი **ლევან ძებისაშვილი**, რომელიც აქტიურად ჩაერთო სპორტულ ღონისძიებაში და გამარჯვებულ ჯგუფს სამხსოვრო თასი გადასცა. დასასრულ, ჩატარდა კულტურული ღონისძიება, სადაც აზერბაიჯანელმა და ქართველმა მოსწავლეებმა, ერთობლივად შეასრულეს რამდენიმე მუსიკალური ნომერი და ცეკვები. აზერბაიჯანულ სიმღერაზე ქართველმა მოსწავლეებმა ცეკვა შეასრულეს, ქართული ელემენტებით, რაც ძალიან სახალისო აღმოჩნდა ყველასთვის, მივიღეთ სამხსოვრო საჩუქრები. შემდეგ სტუმრებს აზერბაიჯანული კერძებით გავუმასპინძლდით, ვისაუბრეთ ამ დღესასწაულისა და კერძების მნიშვნელობაზე. აღმოჩნდა, რომ სამივე კულტურისთვის დამახასიათებელი ბევრი რამ არის საერთო.

ჩვენ ვცხოვრობთ გარემოში, სადაც ზოგ



მეზობელს განსხვავებული კანის ფერი აქვს და ლაპარაკობს სხვა ენაზე. ეს არის სიმდიდრე, რომლითაც უნდა ვიამყყოთ. მსგავსი აქტივობები მოზარდს სოლიდარობისა და ტოლერანტობის უნარებს უყალიბებს.

დღემ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა – სხვა დამეგობრებულ ქართულ სკოლებს კიდევ ორ სკოლასთან მეგობრობა დავმატა, უფრო მეტად მდიდარი გავხდით... ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ქართული და სხვადასხვა კუთხის სკოლები დავიმეგობროთ, რადგან ვფიქრობ, რაც უფრო ხშირად მოხვდებიან განსხვავებულ გარემოში, მით უფრო მეტს გაიგებენ, უკეთ გაიცნობენ ერთმანეთის კულტურას. ვამაყობ, რომ ჩემი მოსწავლეებიც ასე ფიქრობენ. მათ კარგად ესმით ამ ურთიერთობის მნიშვნელობა და სიკეთე.

სალომე ძირია
მარნეულის მუნიციპალიტეტის
სოფელ საბირკენდის
საჯარო სკოლის პედაგოგი



ახალი ახვაზი

გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადის დაჯილდოება

საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად, გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადის დაჯილდოება გაიმართა. გამარჯვებულებს – **ანა თოიძეს**, თბილისის №6 სკოლის მოსწავლეს და **ანანო ბაკრაძეს**, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის №1 სკოლის მოსწავლეს – გოეთეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, **საშა ფაბრიმ** გადასცა მთავარი პრიზი – გერმანული ენის საერთაშორისო ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი სტიპენდიები, რომელიც გერმანიაში, ფრაიბურგში, 2018 წლის 15-28 ივლისს, გაიმართება.

ორივე გამარჯვებულ მოსწავლეს ეძლევა უნიკალური შანსი, ფრაიბურგში გერმანული ენის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, საქართველოს სახელით, მსოფლიოს 5 კონტინენტის 60 ქვეყნის 100 მოსწავლეს შეუერთდნენ. ამ დიდ კონკურსზე სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები საერთაშორისო დონეზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს არა მარტო ენის ცოდნაში, არამედ ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარებში. გერმანული ენის საერთაშორისო ოლიმპიადა, მსოფლიო მასშტაბით, გერმანულ ენაში ყველაზე დიდი კონკურსია, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ ტარდება და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში გერმანული ენისადმი ინტერესისა და ტოლერანტობის გაღრმავებას, მათთვის გერმანული კულტურული მრავალფეროვნებისა და

სამოქალაქო საზოგადოების გაცნობას.

III ადგილზე თბილისის №195 საჯარო სკოლის მოსწავლე **მარიამ მდივნიშვილი** გავიდა. მას საქართველოს გოეთეს ინსტიტუტისგან გერმანული ენის კურსის უფასო ვაუჩერი გადაეცა; ფინალში გადასული 20-მდე მოსწავლე კი გოეთეს ინსტიტუტში და პროექტის პარტნიორმა „არვატო ბერთელსმანმა“ გერმანულენოვანი საზაფხულო აკადემიის საგზურებით დააჯილდოვეს, რომელიც 21-28 ივლისს, რუსთავეში, სკაუტების საერთაშორისო ბანაკში შედგება.

გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადის ფინალურ ტურში თბილისისა და საქართველოს რეგიონების გერმანულენოვანი საჯარო სკოლების 56 საუკეთესო მოსწავლე მონაწილეობდა. ფინალური ტური, რომელიც ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 საფეხურს შეესაბამებოდა, ორ რაუნდად ჩატარდა – წერიითი და ზეპირი გამოცდა. წერილობითი გამოცდის შემდეგ, 56 მონაწილედან, 21 რეგიონული მოსწავლე ზეპირ ეტაპზე გადავიდა, რომელიც საჯარო ჯგუფური პრეზენტაციებისგან შედგებოდა. გამოცდა, ენობრივი ცოდნის გარდა, მოსწავლეების კრეატიულობასა და კრიტიკული აზროვნების უნარს აფასებდა. ეროვნული ოლიმპიადის ფინალური ეტაპის ფიური გოეთეს ინსტიტუტის, გერმანიის საელჩოს, საქართველოს განათლების სამინისტროს, გერმანული საერთაშორისო სკოლისა და გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციის წარმომადგენლებისგან შედგებოდა.



სამოღლო გაკვეთილი

სილიციუმის ნაერთები და მათი გამოყენება ყოფა-ცხოვრებაში

გაკვეთილის თემა	სილიციუმის ნაერთები. მათი გამოყენება ყოფა-ცხოვრებაში.
დრო	45 წუთი
მასწავლებელი	ნინო ყანჩაველი
კლასი	X კლასი
მოსწავლეთა პროფილი	12 მოსწავლე, სსსმ – არ არის.
სასწავლო მიზნები/სტანდარტი	ქიმ.X.12 შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლეს: <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ქიმიური ელემენტების და მათი ნაერთების დახასიათება, მათი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა; • აკავშირებს ელემენტის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს მათ გამოყენებასთან. კვლ.X.1.2.3.4. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლეს: <ul style="list-style-type: none"> • განსაზღვრავს და აყალიბებს კვლევის მიზანს; • განსაზღვრავს შესაბამისი ინფორმაციის მოძიების წყაროებს; • იყენებს შესაბამის მასალას და აღჭურვილობას და ატარებს დაგეგმილ ცდას უსაფრთხოების წესების დაცვით.
ცოდნა	მოსწავლეებს ეცოდინებათ სილიციუმის და მისი ნაერთების თვისებები. იმსჯელებენ ამ ელემენტის ნაერთების გამოყენებაზე ყოფა-ცხოვრებასა და წარმოებაში.
უნარები	ინფორმაციის მოძიების, გააზრების, დიფერენცირების, არგუმენტირებული მსჯელობის, მოვლენების ანალიზის, ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების უნარები.
ინტერესის აღძვრა/მოტივაცია	ვაჩვენებთ ორ სურათს, რომელზედაც გამოსახული იქნება ჩვეულებრივი და ბროლის ჭიქა. შეკითხვა: რომელი ჭიქით სჯობს შამპანურის მირთმევა?
დიფერენცირება	გაჩვენებთ სწავლებას.
რესურსები	სახელმძღვანელო, ტექსტი, თვალსაჩინო მასალა სურათებისა და მინერალების სახით (ჩვეულებრივი უფერო მინის, ბროლის, ქიმიური მინის ნიმუშები), საჭირო რეაქტივები: მარილმჟავას ხსნარი, სინჯარები, ჩვეულებრივი საკანცელარო ნებო, სპირტქურა, ასანთი, ფურცლები, საწერი კალამი, ნებოვანი ლენტი, მაკრატელი.
გაკვეთილის მსვლელობა	აქტივობა 1. საორგანიზაციო საკითხები (4წთ). მთელი კლასი. აქტივობის მიზანი: მოსწავლეები ნათლად წარმოადგენენ რა არის გაკვეთილის მთავარი თემა. გაეცნობიან რა კრიტერიუმების მიხედვით დაინიშნება შეფასება. აქტივობის აღწერა: გაკვეთილის დასაწყისშივე თვალსაჩინო ადგილზე გამოვკრავ ფურცელს, სადაც წერია გაკვეთილის მიზანი, ასევე შეფასების კრიტერიუმები. გაეცნობ აქტივობების ინსტრუქციებს. დავაკომპლექტებ 4 სამკაციან ჯგუფს. აქტივობა 2. გაჩვენებთ. გაჩვენება 1: ინფორმაციის გაცნობა, გაზიარება და ამ ინფორმაციის საფუძველზე ორი ცხრილის შევსება (7წთ). სამეცნიერო პრაქტიკა; ინფორმაციის მოძიება, შეფასება და გაზიარება. აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ მიცემული ლიტერატურიდან საჭირო მასალის ამოღებას. საჭირო ინფორმაციას წარმოადგენენ ცხრილების სახით. აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს ურიგდებათ ტექსტი, რომელსაც ეცნობიან და მის საფუძველზე ავსებენ ორ ცხრილს.

ეს ყველაფერი განთავსებული იქნება სადემონსტრაციო მაგიდაზე. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მოითხოვებენ, ერთ-ერთი მათგანი აარჩევს საჭირო რეაქტივებს, ჭურჭელს და მიაქვს იმ მაგიდასთან, სადაც მათი ჯგუფი მუშაობს. ატარებენ ცდას, აკვირდებიან, მსჯელობენ და შედეგებს ინიშნავენ. ატარებენ პრეზენტაციას მმ სტრატეგიის გამოყენებით.

გაჩვენება 3: გარდაქმნის სქემის შესაბამისი ქიმიური ტოლობების შედგენა (7წთ).
აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ სილიციუმის და მისი ნაერთების ქიმიკატების ცოდნის გამოყენებას და სქემის შესაბამისი ტოლობების შედგენას.
აქტივობის აღწერა: $Na_2SiO_3 - H_2SiO_3 - SiO_2 - Si - Na_2SiO_3$ სქემის შესაბამისი ტოლობების შედგენა.

დავალების შეფასების რუბრიკა:
 ყოველი სწორად შედგენილი ქიმიური ტოლობა – 1 ქულა;
 სწორად გათანაბრებული ქიმიური ტოლობა – 1 ქულა.

გაჩვენება 4: ამოცანის ამოხსნა (7წთ).
 ნატრიუმის ტუტის შეღებვით სილიციუმის ოქსიდთან გამოიყო 4,5ლ წყლის ორთქლი (101კპა წნევისა და 100°C ტემპურატურაზე). გამოთვალეთ წარმოქმნილი ნატრიუმის სილიკატის რაოდენობა.

მეოთხე გაჩვენებაზე მოსწავლეებს დახვდებათ ამოცანის შეფასების სქემა.

სწორად შედგენილი ქიმიური ტოლობა	1 ქულა;
სწორად გათანაბრებული ქიმიური ტოლობა	1 ქულა;
სწორად გამოყენებული ფორმულა	1 ქულა;
ამ ფორმულის მეშვეობით სწორად გამოთვლილი წყლის ორთქლის რაოდენობა	1 ქულა;
რეაქციის მიხედვით სწორად გამოთვლილი სილიკატის რაოდენობა	1 ქულა.

მოსწავლეები ატარებენ პრეზენტაციებს იმ გაჩვენებაზე, სადაც აღმოჩნდებიან დროის ამონურვის შემდეგ. პრეზენტაციისათვის თითოეულ ჯგუფს ეძლევა 3 წუთი.

აქტივობა 3. საშინაო დავალება. მთელი კლასი (1წთ).
აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ და განამტკიცონ ახალი მასალა.

აქტივობის აღწერა: შეასრულონ ნებისმიერი ორი სავარჯიშო პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალებებიდან.

შეფასება: შეფასება ხორციელდება დაკვირვების, ჩანაწერების გაცნობის, პრეზენტაციების მიხედვით. იხ. პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	1-3 ქულა	4-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
შესაბამისი ტერმინების ფლობა და ადეკვატურად გამოყენება	ვერ იყენებს ტერმინს სათანადოდ.	ნაწილობრივ ფლობს ტერმინს და უჭირს მისი ადეკვატურად გამოყენება.	ფლობს ტერმინებს, იყენებს ადეკვატურად უმრავლეს შემთხვევაში.	ფლობს ტერმინებს, იყენებს ადეკვატურად ყველა შემთხვევაში.
მონაცემების სხვადასხვაგვარი საშუალებებით წარმოდგენა	არ შეუძლია მონაცემების წარმოდგენა.	მონაცემებს წარმოადგენს მხოლოდ სიტყვიერად.	მონაცემების წარმოდგენას იყენებს ერთ თვალსაჩინო საშუალებას.	მონაცემებს წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებებით.
აუდიტორიასთან ურთიერთობა	აუდიტორია არ უსმენს.	აუდიტორიასთან ამყარებს კონტაქტს ნაწილობრივ.	იყვრის აუდიტორიის ყურადღებას.	იყვრის აუდიტორიის ყურადღებას. ახდენს ზეგავლენას.

1-3	4-5	6-7	8-10
ექსპერიმენტს გეგმავს არასწორად, ვერ თვლის კვლევის ეტაპებს, ვერ აყალიბებს ვარაუდებს. ჩანაწერები ქაოსურია და უზუსტო.	ექსპერიმენტს გეგმავს არაზუსტად, ხარვეზებით. არასწორად ჩამოთვლის კვლევის ეტაპებს. აყალიბებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს თავის ვარაუდს. ჩანაწერები სუსტადაა ორგანიზებული.	ექსპერიმენტს გეგმავს მცირე ხარვეზებით, კვლევის ეტაპებს ჩამოთვლის მცირე უზუსტობით, თუმცა ასაბუთებს თავის ვარაუდს, ჩანაწერები ხარვეზებითაა შევსებული.	ექსპერიმენტს გეგმავს სწორად, ნათლად გამოყოფს კვლევის ეტაპებს, კარგად აყალიბებს ვარაუდებს, ჩანაწერები კარგადაა ორგანიზებული. იყენებს მმ სტრატეგიის სამივე კომპონენტს.

ნინო ყანჩაველი
 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ილემის საჯარო სკოლის ქიმიის პედაგოგი

2 აპრილი

აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე

2007 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა. ეს თარიღი საქართველოშიც აღინიშნება. 2007-2009 წლებში, საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ ყოველი 110 ბავშვიდან ერთს აუტიზმი აქვს.

ამ დღის აღსანიშნავად, თბილისის 72-ე საჯარო სკოლის აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებმა, თანატოლებთან ერთად, სპეციალური პროგრამა მოამზადეს, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური დაესწრო.

2013 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალურ პროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს საჯარო სკოლებში, საჭიროების შემთხვევაში, ინტეგრირებული კლასები იხსნება, სადაც აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეები სწავლობენ. ერთ-ერთი ასეთი კლასი თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს.

მსოფლიოში ყოველ 20 წუთში ერთ ადამიანს უღვინდება აუტიზმი, 100-დან 1 ადამიანს აქვს აუტიზმი



სპორტი

„ბორჯღაღმა“ „მამლები“ მოარჯულა

საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა, მეოთხე ცდაზე, სანადვლი აისრულა და ევროპის ჩემპიონი გახდა. თანაც, ფინალში თვით საფრანგეთი დაამარცხა: 8:3. ბოლო ოთხი სეზონია, ფინალში ეს გუნდები გადიან და სამივე წინა პაექრობა უმცროსმა „მამლებმა“ მოგვიგეს, თუმცა ჩვენები წლიდან წლამდე ამცირებდნენ ნაგებულ პაექრობაში სხვაობას და ეს კლება წლეულს ლოგიკურ შედეგამდე მივიდა – პოლონურ პოზნანში გამართულ ფინალში, კოკისპირულ წვიმაში, დავით ჩავლეიშვილის შეგირდებმა თავდადებით იომეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

ჩვენები თავიდანვე მედგად მიანგნენ ძლიერ მეტოქეს და პირველ 10-წუთიან მონაკვეთში მათსავე ლელოსთან მიმწყვდიეს. პირველ წარმატებასაც ამ პერიოდში მიაღწიეს: მე-8 წუთზე კვაჭმა ვანო კარკაძემ გარემარბის ადგილას გადაინაცვლა და ბურთიანად შევიდა ჩათვლის მოედანზე. სამწუხაროდ, ლაშა ლომიძემ ლელო ვერ გარდასახა და 5:0 დაგნიანურდით. 5 წუთში ფრანგებმა ანგარიში საჯარიმოში შეამცირეს: 5:3, რაც მეორე ტაიმის შუამდე შენარჩუნდა. 65-ე წუთზე ლომიძემ კარგად გამოიყენა ფრანგების კარის მიმართულებით დადებული ჯარიმა და ანგარიში 8:3 გახადა, მონაპოვარი კი მართლაც თავდადებულ ბრძოლაში შეინარჩუნეს.



ტულა – გამოსდა ჭაბუკებისთვის

გასულ უქმეებზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა დიდი წარმატებით იასპარეზა ტულაში გამართულ ევროპის თანატოლთა თასზე და 6 მედალი მოიპოვა: თითო ოქრო-ბრინჯაო და 4 ვერცხლი. გუნდურ ჩათვლაში გიორგი ყიზილაშვილის გუნდი მეორეზე გავიდა, მასპინძელთა შემდეგ.

ტულაში ყიზილაშვილს გაფართოებული შემადგენლობა ჰყავდა ნაყვანილი – 33 მოზარდი, ჩვენები კი ყველაზე უკეთ 90 კილოგრამში გამოვიდნენ, სადაც ნახევარფინალშიც სამი მონაწილე გვყავდა, ქართული ფინალიც გაიმართა და კვარცხლბეკზეც სამი ქართველი ავიდა. ჩემპიონი ილია სულამანიძე გახდა, ნახევარფინალში ბაჩო ვარდიანიშვილს მოუგო, ფინალში კი ნიკა ხარაზიშვილი დაამარცხა, რომელიც ვერცხლს დასჯერდა. ამ წონაში ბრინჯაოს მედალს გოგა ჩაკვეტაძე დაეუფლა, მან გადაამყვებტ შეხვედრაში ვარდიანიშვილი დაამარცხა.

ხარაზიშვილის მსგავსად, ვერცხლის მედალს დავით დვალიშვილი (60), ლუკა კაპანაძე (66) და საბა ინანიშვილი (+90) დაეუფლნენ. ვარდიანიშვილის მსგავსად კი, ბრინჯაოს მედალების მოპოვების შანსი დაკარგეს გურამ გასიტაშვილმა (55) და თორნიკე ფოლადაშვილმა (81) – ისინი მეხუთეზე დარჩნენ.

შედეგი არაა ურიგო, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსებიც გაფართოებული შემადგენლობით გამოდიოდნენ – არ იყვნენ შეზღუდულები კვოტით და თანაც, ვინ იცის, რამდენი გადაზრდილი ეყოლებოდათ, ჩვენთან კი ეს პრობლემა კარგა ხნის წინ აღმოიფხვრა. თანაც, 90 კილოგრამის გარდა, ჩვენებმა ფინალური პაექრობები სულ რუსებთან წააგეს. ალბათ, არაოპტიკური მსაჯობის ფაქტორიც იქნებოდა, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, იქ წასვლა მაინც ღირდა. ყიზილაშვილი არჩევს ევროპა-მსოფლიოზე წასაყვან კანდიდატებს, ნაკრების შერჩევის პროცესშია, პლუს – წლეულს ჭაბუკებს მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები და მისი სალიცენზიო ტურნირები ელოდებოდათ. ამიტომ შანსს ყველას აძლევს, თუმცა ცდილობს, ასეთი საერთაშორისო ტურნირებით გზადაგზა გაეცხრილოს ის გაფართოებული შემადგენლობა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით მიიღო. თან ტულაში ძლიერი შეჯიბრება უდავოდ ტარდება, ეს კი დასაოსტატებლად ნამდვილად წაადგებათ ჩვენებს. ამ ტურნირის გამო, მეორე წელიწადია, ჩვენები

უარს ამბობენ ანტალიაში გამოსვლაზე, რომელიც წინ უსწრებს რუსულ სტარტს, თუმცა იქ ვაჟები ბევრად სუსტი შემადგენლობა გამოდის (გოგონები კი მიდიან, რადგან თურქეთში ქალთა ჭიდაობა ბევრად უფრო განვითარებულია). რუსეთში სხვები რომც არ ჩავიდნენ, მხოლოდ ადგილობრივები ეყოფა ნებისმიერ შეჯიბრებას. მართალია, გადაზრდილებთან ჭიდაობით მედლები ნაკლებია, მაგრამ სპორტსმენები დიდ გამოცდილებას ნამდვილად იღებენ. ამიტომ ამ შეჯიბრებამ გაამართლა თავისი დანიშნულება და მწვრთნელს, კონკურენციის კუთხით, ბევრი დასკვნა გამოატანინა.

ლაშა გურულის წარმატება

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი 22-წლამდე მოკრივეთა შორის, სადაც 64 კილოგრამში დიდი წარმატებით გამოვიდა ლაშა გურული. მან ფინალურ პაექრობაში, ძალიან მძიმე ბრძოლაში დაამარცხა თურქი თურგულზან ერდერიმი. ყველა მსაჯმა გამარჯვებულად ქართველი მოკრივე ცნო, რამაც თურქი იმდენად გაანაწყენა, მსაჯებს არც ხელი ჩამოართვა და ედავა კიდევ მწვრთნელმა ის როგორც კი ჩაიყვანა რინგიდან, მაგრამ მერე დარბაზში ატყდა ხელჩართული ჩხუბი ქართველ და თურქ ქომბაგებს შორის. საბოლოოდ, ინციდენტი დაცვის სამსახურის ჩარევით ამოიწურა.

აღსანიშნავია, რომ გურული ევროპის შარშანდელი ფინალისტი.

ბუქარესტში ჩვენმა ნაკრებმა კიდევ სამი მედალი მოიპოვა: 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ვიცე-ჩემპიონები სახილ ალახვერდოვი (49) და გიორგი ხარაბაძე (75) გახდნენ, ხოლო მესამეზე ოთარ ნავერიანი (60) გავიდა.



დიდი ტურნირის პატარა გმირი

თბილისის ძიუდოსტთა „დიდ პრიზზე“ ჩვენი ნაკრების წარმატებული გამოსვლის ფონზეც კი (14 მედალი მოვიპოვეთ – 5 ოქრო, 3 ვერცხლი და 6 ბრინჯაო), ამ შეჯიბრების გმირად ქალთა ნაკრების ყველაზე პატარა წევრი, 17 წლის მარიამ ჭანტურია იქცა, რომელმაც 70 კილოგრამში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პატარა აბაშელმა გოგომ (ბოლო წლებში თბილისში ვარჯიშობს კახა მოცრაძესთან) ისე იბრძოლა, ბევრად გამოცდილ უფროსსაც შემურდებოდა.

ქალებში მედლები დიდ ტურნირებზე აქამდეც გვქონია. მაგალითად, ესტერ სტამი (70) ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მანამდე კი, 2015 წელს, ნინო ოძელაშვილმა (78) ბაქოს „დიდ მუზარაძეზე“ გაიმარჯვა, ახლა პატარა აბაშელმა გოგომ იყოჩაღა. მართლაც რომ იყოჩაღა, რადგან ლამის დედისტოლა ქალებ-

თან ორთაბრძოლაში მოიპოვა ეს მედალი. ის ჭაბუკებიდან წლეულს გადმოვიდა ახალგაზრდებში, თუმცა ჯერ ამ ასაკშიც კი არ მიუღია სათანადო გამოცდილება და, არსებითად, ისევე ჭაბუკებიდან გადმოყოლილით ჭიდაობს. თან, ასაკის შეცვლასთან ერთად, წონითი კატეგორიაც შეიცვალა: 63-დან 70-ში გადავიდა, ახალ წონაში ადაპტაციას კი, როგორც წესი, გარკვეული დრო სჭირდება. ხშირად ეს პროცესი 2-3 სეზონიც კი გრძელდება და, შეიძლება ითქვას, ჭანტურია ზღაპრული გმირით დღითი დღე იზრდება. შედეგად, ამდენი ცვლილების შემდეგ, უკვე დიდებში, პრაქტიკულად რამდენიმე კვირაში, პირველი მედალიც მოიპოვა, თან ძალიან კარგ ჭიდაობაში. ერთი, რომ გერმანელი საუნდრა დიდრიხი, დამამშვიდებლის ფინალში გაფრთხილებებით რომ მოუგო, ევროპის ბრინჯაოს

მედალოსანია. მასთან დაძაბულ პაექრობაში ჭანტურია გვიჩვენა, რას ნიშნავს მეტძობი სული და რა სარგებლობა მოაქვს მას! კანადელ კელიტა ზუპანჩიჩთან ნაგებულ შეხვედრაში ნატკენი მხარაც მაგრად აწუხებდა; მართონულად ქვეულ შეხვედრაში, რომელიც დამატებით დროში, ლამის 7 წუთამდე გაგრძელდა, პატარა გოგო გვარიანადაც დაიღალა, მაგრამ მაინც იპოვა საკუთარ თავში ძალა აქტიურობისთვის და მეტოქეს მესამე გაფრთხილება მიადებინა. თან ისეთი ფინით იჭიდავა, ვერავინ იტყვის, რომ მისი ძველ მსაჯებში იემზრნენ და გერმანელს ის გაფრთხილებები არ ეკუთვნოდა. სწორედ ამიტომ აიყოლია მან დარბაზი, რომელიც ფეხზე წამომდგარი აგულიანებდა, ამხნეებდა ტაშითა თუ შეძახილებით და მისი ამ დიდი წარმატების თანამონაწილედ გახდა. აკი შეხვედრის დასრულების შემდეგ მედალოსანმაც აღნიშნა, რომ ტრიუმფების ქომაგობამ დიდი მოტივაცია მისცა.

ჭანტურია ზოგადად გამოირჩევა ფინით, მეტძობი ხასიათით, მუდამ უტყვის და ტატაზე, ლამის ყოველთვის, ლამაზ სანახაობას დგამს. მან მხოლოდ ძალიან გამოცდილ კანადელ ზუპანჩიჩთან წააგო, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იქაც ხელეზამოშვებული იდგა – ამჟამად, მასთან მიღებული ტრავმამ ხელი შეუშალა. სამაგიეროდ, ჯერ ძირითად ბადეში ძალიან დამაჯერებლად დაამარცხა პოლანდიელი ვეველინ ბენდსენი და ბრიტანელი კეტიჯემიმა იეტსბარუნი, დამამშვიდებელში კი გერმანელს, დიდრიხამდე, სარა მაკელბურგიც დაუმარცხა იპონით. ამის შემდეგ, დარბაზში ვილაყამ იხუმრა, ჭანტურია გერმანელს მეორე ქანთარიად მოევიწინაო.

თუმცა, ასეთი წარმატების მიუხედავად, ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია თენაძე ჯერ მაინც არ აპირებს მის უფროსთა შეჯიბრებებში დატვირთვას, სწორედ პატარა ასაკის გამო. მწვრთნელის აზრით, ეს მისთვის ნაადრევია და აპირებს, ამ სეზონზე ისევე

ახალგაზრდების შეჯიბრებებში აჭიდაოს და გაისიდან ჩართოს სალიცენზიო ტურნირებში, როგორც ნატალია ყიფშიძე (48), ეთერ ლიპარტელიანი (57) და სოფიო სომხიშვილი (+78). მარიამ ჯანაშვილსა (52) და მზია ბეზიშვილთან (63) ერთად, ეს ოთხეული ჰყავდა შერჩეული უფროსებში სალიცენზიო შეჯიბრებებზე გამოსაყვანად, ოღონდ აქამდე აკვირდებოდა, ვის ჰქონდა საამისო რეზერვი და რესურსი, თუ არადა ისევე ახალგაზრდულ ნაკრებში დააბრუნებდა და იქაური გრაფიკით გააგრძელებდა მათ მზადებას.

თბილისის ტურნირიდან გამომდინარე, მწვრთნელმა მიიჩნია, რომ ჭანტურიასაც და სხვებსაც ჯერ კიდევ აკლიათ გამოცდილება და ასაკიც. ალბათ, მართალიცაა, როგორც გითხარით, ჭანტურიას ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებშიც არ მიუღია გამოცდილება, ასევე სომხიშვილსაც, რადგან ისინი წლეულს გადმოვიდნენ ჭაბუკებიდან. თენაძემ ასე შეაფასა ჭანტურიას გამოსვლა: „მარიამ ჭანტურია უკვე შემოიჭრა ძიუდოს სამყაროში, რადგან ამ ასაკში შეუძლებელი შეძლო და დროის მოკლე მონაკვეთში ასეთი შედეგი გვიჩვენა. ის შარშან გადმოვიდა ჭაბუკებიდან, თუმცა ჯერ ახალგაზრდული ნაკრებშიც არ გაუვლია, იქ კიდევ სამი წელიწადი აქვს საჭიდაო, მან კი უკვე უფროსებში მოიპოვა მედალი. თან წონა შეიცვალა, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სპორტსმენებს ყოველთვის უჭირთ ახალ წონასთან შეგუება. ამას ერთი სეზონი მაინც სჭირდება, ჭანტურია კი რამდენიმე თვეში შეძლო ახალ წონაში ადაპტირება და მედალიც მოიპოვა, რაც ჩვენთვისაც სასიხარულოა და მისი თანაგუნდელებისთვისაც დიდი სტიმული იქნება, ასევე, მწვრთნელებისთვისაც, რადგან როცა შრომა გიფასდება და შედეგი სახეზეა, სხვანაირად მუშაობ. ვფიქრობ, ჭანტურია სულ მალე უფროსებშიც ლიდერებში იქნება“.



მასწავლებლის ბიბლიოთეკა



11 ლარი


სასწავლო პროექტები ნივთი მრავალფეროვნებას აძლევს. მასწავლებლისთვის ეს პროექტები უნდა შეიქმნას თითოეული სტრატეგიული ერთეული. მასწავლებლისთვის ეს პროექტები უნდა იყოს საფუძვლიანი.



ქართული I-VI კლასები ნივთი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.



პროფესიული უნარები დაეხმარება მასწავლებლებს პროფესიული უნარების განვითარებაში და მათი უნარების განვითარებისთვის.



4 ლარი



6 ლარი



6 ლარი



5.50 ლარი



14 ლარი



6.50 ლარი

მოქალაქეთა საინფორმაციო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცდის მონაწილეობის ოფიციალურ ვებგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing



თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

ნაძვირი და მომნიშვნელოვანი ანბანი

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცდებისთვის.



სერიის ფასი - 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.



სერიის ფასი 17.70 ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ



ინტელექტი და არტანუჯი გთავაზობთ გავიგოთ მათემატიკა. ნივთი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითადად სახელმძღვანელოდ გამოიყენება, თუმცა შეიძლება გამოიყენებოდეს სახელმძღვანელოდ და დაეხმარება მასწავლებლებს მათი პროფესიული განვითარებისთვის.



ისტორია ნივთი დაწერილია აბიტურიენტებისთვის და დაეხმარება მათი პროფესიული განვითარებისთვის.



7 ლარი



8 ლარი




4 ლარი



12 ლარი



თამაზ მასხაძე



6 ლარი




9 ლარი



12 ლარი



39.90 ლ



10 ლარი



10 ლარი



10 ლარი



10 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში



ნივთი I V-XVIII საუკუნეების მხარეთმცოდნეობა, ნივთი II XIX საუკუნის მხარეთმცოდნეობა, ნივთი III XX საუკუნის მხარეთმცოდნეობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი პანკი“, ბ/კ LBRTGE22

საქართველოს თარიღი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14 ტელ.: 032 295 80 23, 599 880073 www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

ISSN 2233-386X 9 772233 386008 > ფასი - 1 ლარი 90 თეთრი